



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი კლდიაშვილი

ფინანსური რისკების მართვა საქართველოს საბანკო
სექტორში პანდემიის პირობებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტზე
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნათია უოუუაშვილი
ასოცირებული პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

ფინანსური რისკების მართვა საქართველოს საბანკო სექტორში პანდემიის პირობებში

საბანკო სექტორი ასრულებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებლის და შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის. საბაზრო ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია საბანკო სისტემის განვითარების და მისი წარმატებით ფუნქციონირების გარეშე. ფინანსური რისკი და მართვის საკითხები მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში. საფინანსო დანესებულებების საქმიანობაში ფინანსური რისკის მართვის როლის ამაღლება ფინანსური სიტუაციის ანალიზის და რისკის შესახებ სწორი გადანყვეტილებების მიღება მეტად მნიშვნელოვანი ხდება გლობალური ფინანსური კაპიტალის მოძრაობის პირობებში. ზარალის და დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები. ამ მეთოდების შესწავლა და დანერგვა ქართულ პრაქტიკაში მეტად მნიშვნელოვანია.

ნაშრომში „ ფინანსური რისკების მართვა საბანკო სექტორში“ განხილულია ფინანსური რისკების კლასიფიკაცია და წარმოდგენილია მათი შემცირების და თავიდან აცილების გზები. კომერციული ბანკების ფინანსური რისკების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს საბანკო სისტემის გაძლიერება და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, რადგან საბანკო სფერო იყოს გადახდისუნარიანი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი მეტად აქტუალურია, როგორც საბანკო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, ისე საზოგადოებისთვის. ნაშრომში აგრეთვე განხილულია COVID-19 პანდემიით გამოწვეული ფინანსური კრიზისის უარყოფითი როლი საბანკო სფეროზე და შემუშავებულია ფინანსური რისკების მართვის სრულყოფის საკითხები.

კვლევის მიზანი და ამოცანებია გავანალიზოთ ფინანსური რისკების როლი საბანკო სექტორში, ეროვნული ბანკის ჩართულობა კომერციული ბანკების რისკების იდენტიფიცირებაში, იმ ბერკეტების განხილვა, რითიც ცდილობენ საქართველოში მოქმედი ბანკები რისკების მინიმალიზებას და ახალი ბერკეტების და მეთოდების გაშუქებას.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლებელს გახდის ფინანსური რისკების მართვის ეფექტიანობის ამაღლებას. კომერციული ბანკების პროგრესული განვითარების ფუნქციონირებისთვის მიზანშეწონილია განხილული ცვლილებები, რომლებიც შეამცირებს ფინანსურ რისკებს როგორც მსესხებლების, ასევე

დეპოზიტორებისთვის, რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს კომერციული ბანკების საქმიანობას.

ANNOTATION

Financial Risk Management in the Banking Sector of Georgia in Condition of the Pandemic

G. KLDIASHVILI

Banking sector acts as a monetary policy implementer and intermediary between creditors and borrowers. The development of market economy is incredible without the development of banking system and its successful functioning. Financial risk and management issues are becoming more and more important in the modern global economy. Enhancing the role of financial risk management, analysis of the financial situation and making the right decisions in the activities of financial institutions are crucial factors in condition of global financial capital movement. Various methods are used to avoid loss and losses. Study and implementing of these methods in Georgian reality is very important.

The thesis “Financial Risk Management in the Banking Sector” discusses the classification of financial risks and presents the ways of reducing and avoiding them. The main goal of financial risk management is to strengthen the banking system and also protect the interests of consumers, which provides solvency of the sector. Therefore, the issue is relevant for the both: banking business community and the society.

The work also discusses the negative role of the financial crisis of banking sector caused by the COVID-19 pandemic. There are developed certain viewpoints of improving financial risk management.

The aim and objectives of the research are to analyze the role of financial risks in the banking sector, the involvement of the National Bank in identifying the risks of commercial banks. Also discuss the levers with which banks operating in Georgia try to minimalize risks, representing new levers and methods.

The findings and recommendations of the research will make it possible to increase the effectiveness of financial risk management. Considered changes are important for the progressive functioning of commercial banks because it will

reduce the financial risks for both borrowers and depositors, which in turn will improve the performance of commercial banks.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I. საბანკო რისკების მენეჯმენტი	10
1.1. საბანკო საქმიანობაში რისკის ცნების და კლასიფიკაციის განსაზღვრა, რისკის მართვის ხერხები	10
1.2. რისკების მართვის თავისებურებები საბანკო სექტორში, ისტორიული მიმოხილვა	15
1.3. ფინანსური რისკების კლასიფიკაცია საბანკო სექტორში	21
თავი II. საკრედიტო რისკების მართვა	28
2.1. ინდივიდუალური მსესხებლის საკრედიტო რისკის და საკრედიტო პორტფელის მართვა	28
2.2. საბანკო საკრედიტო რისკის თავიდან აცილების მეთოდები	31
2.3. პანდემიით გამოწვეული ფინანსური რისკების მართვა ქართულ საბანკო ბიზნესში	34
თავი III. საბანკო რისკის მინიმალიზაცია და თავიდან აცილების გზები	40
3.1. ეროვნული ბანკის ჩართულობა კომერციული ბანკების რისკის მართვაში	40
3.2. რეზერვების შექმნა საბანკო რისკის გადაფარვის მიზნით	45
3.3. საბანკო რისკის სადაზღვევო ორგანიზაციების მეშვეობით დაზღვევა	47
3.4. სამაგისტრო ნაშრომის კვლევა	50
დასკვნა და რეკომენდაციები	56
გამოყენებული ლიტერატურა.....	59

შესავალი

სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მთავარი საზრუნავი კომერციული ბანკებისთვის დროებით გადაცემული ფულადი სახსრების მფლობელთათვის დროულად და სრულად დაბრუნების გარანტირების არსებობაა. კომერციული ბანკის გაკოტრება არ ხდება ერთბაშად და მოულოდნელად. ბანკის გაკოტრების მთავარ მიზეზს წარმოადგენს მენეჯმენტის მხრიდან რისკების უგულებელყოფის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ შეუქცევადი ხდება.

რისკ-მენეჯმენტი ანუ რისკების მართვა კომერციულ ბანკში, ესაა რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა კომპლექსი. რისკების მართვის სისტემა კომერციულ ბანკს აძლევს საშუალებას არსებული რისკების შემცირების, ახალი რისკების გამოვლენის და ეფექტიანი მართვის შესაძლებლობას, რომელიც მუდმივ გადახედვას, განახლებას და სრულყოფას საჭიროებს.

თემის აქტუალურობა. ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, დაკავშირებული სხვადასხვა ბიზნეს ოპერაციებთან, არის გარკვეული სახის რისკების და მასთან დაკავშირებული დანაკარგების საფრთხის შემცველი. ასეთი სახის დანაკარგებთანაა დაკავშირებული ფინანსური რისკები. ფინანსური რისკი და მისი მართვის საკითხები მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, როდესაც იზრდება ქვეყნებს შორის ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობა. ფინანსური რისკი ნასესხები სახსრების გამოყენების რისკს წარმოადგენს. იგი რისკია იმისა, რომ ნასესხები (მოზიდული) სახსრების გამოყენებისაგან მიღებული დამატებითი შემოსავალი, მოზიდულ სახსრებზე ფიქსირებული პროცენტების გადახდის შემდეგ, საბანკო დანესებულებების ნორმალური განვითარებისათვის საკმარისი არ

იქნება.

რისკის და მისგან გამონწვეული ზარალის აცილების ეფექტური მეთოდებია: რისკის მართვა და დაზღვევა. რისკის მართვა წარმოადგენს რისკის შემცირების და მისგან გამონწვეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისთვის საჭირო ღონისძიებების ერთობლიობას. რისკის მართვა შედგება სამი ძირითადი ეტაპისგან: რისკის ანალიზი; რისკის მართვა და კონტროლი. ფინანსური რისკების მართვა ხორციელდება შემდეგ რისკებთან მიმართებაში: საბანკო; საკრედიტო; საბაზრო; სავალუტო; გეოგრაფიული; ლიკვიდობის და საპროცენტო განაკვეთის. გარდა ამისა, ასევე გამოყოფენ საოპერაციო და იურიდიულ რისკებსაც. **საბანკო რისკი** არის ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სამომავლო გაურკვეველობა, დანაკარგებისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების განწევს, ასევე დაგეგმილი შემოსავლების დაკარგვის ალბათობა საბანკო ოპერაციების განხორციელების პროცესში. **საკრედიტო რისკი** იგივე ბანკების „მთავარი რისკი“ განიმარტება, როგორც კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამონწვეული რისკი. საკრედიტო რისკი გულისხმობს გაცემული სასესხო ვალდებულებების დაუბრუნებლობის რისკს. **საბაზრო რისკი** არის ბანკის ზარალი, რომელიც გამონწვეულია საბაზრო ფასების ცვლილებით. საბაზრო რისკი მოიცავს საფონდო, სავალუტო და საპროცენტო რისკებს. **ლიკვიდობის რისკი** არის ბანკის რისკი, დათაროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ლიკვიდობის რისკი კომერციულ ბანკს შეიძლება შეეყმნას კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობით, როგორცაა: კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა და სხვა. ლიკვიდობის მართვა უმნიშვნელოვანესია, რადგან ლიკვიდობის პრობლემები შესაძლოა დამლუპველი იყოს არა მარტო ბანკისთვის, არამედ მთლიანად საბანკო სფეროსთვის.

ფინანსური რისკები არის რთული საბანკო რისკები, მათ სჭირდებათ მუდმივი მონიტორინგი და აღმოფხვრის გზების ძიება, რადგან არ გამოიწვიოს საბანკო სისტემის კრიზისი და ლიკვიდურობის დაკარგვა. კომერციული ბანკების ფინანსური რისკების მინიმალიზებაში მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ბანკი შემუშავებული ნორმატიული აქტებით და ბანკებს უწესებს სავალდებულო რეგერვების შექმნის მოთხოვნას, რადგან დაზღვეული იყოს საბანკო რისკები. ასევე საბანკო ბიზნესის ფინანსური რისკების გადაზღვევა ხორციელდება სადაზღვევო კომპანიების მიერ, რაც ბანკს უმსუბუქებს ფინანსური კრიზისით გამონვეულ ტვირთს.

სამაგისტრო ნაშრომის პირველ თავში განხილულია რისკის ცნების განსაზღვრა, ფინანსური რისკების კლასიფიკაცია და ფინანსური რისკების ისტორიული მიმოხილვა საბანკო სექტორში, როგორც ქართულ ისე უცხოურ მაგალითზე. აღნიშნულია, რომ საბანკო რისკები, მათ შორის ფინანსური რისკები, მეტად რთული რისკებია და მრავალფეროვანი ბუნება გააჩნიათ.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავში განხილვის ობიექტია საკრედიტო რისკების მართვა, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ ბანკების „მთავარი რისკი“. იგი განიმარტება , როგორც პარტნიორის მიერ ვალდებულებების შესრულებლობის ან გაკოტრებით გამონვეული რისკი. ასევე განხილულია, COVID-19 პანდემიით გამონვეული ფინანსური კრიზისის უარყოფითი გავლენა საბანკო სექტორზე და მათი დაძლევის გზები.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია ფინანსური რისკების მინიმალიზებისა და თავიდან აცილების არსებული მეთოდები. კვლევაში წარმოდგენილია საბანკო სექტორის პრობლემები ფინანსური რისკების კუთხით დღევანდელი გამონვევებიდან გამომდინარე.

მიუხედავად მრავალი ჩატარებული კვლევისა, საჭიროა თეორიული პოზიციების გადახედვა და გლობალიზაციის პირობებში ფინანსური რისკების

მართვის საკითხებისადმი ახლებური მიდგომა, რაც გამოიხატება არსებული სისტემების დახვეწაში და განვითარებაში.

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების რეალიზაცია შესაძლებელს გახდის საბანკო სუბიექტების საქმიანობასა და ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ფინანსური რისკების მართვის ეფექტიანობის ამაღლებას.

სამაგისტრო გამოკვლევის ძირითადი შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ რისკების მართვის მეთოდური უზრუნველყოფისას, აგრეთვე, საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების მიერ და სასწავლო პროგრამების და შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების მომზადებისას.

კვლევის მეთოდოლოგია ემყარება შემდეგ მეთოდებს: კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა დამუშავების და ანალიზის მეთოდი, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, სტატისტიკური ანალიზის მეთოდი. სამაგისტრო ნაშრომი დაფუძნებულია ქართული და უცხოური ლიტერატურის და ქართული გამოცდილების, კონკრეტული მაგალითების გაანალიზების თეორიაზე. კვლევაში გამოყენებულია ანკეტური გამოკითხვის მეთოდი (ღია და დახურული ტიპის კითხვარის კომბინაცია) და ინტერვიუ.

კვლევის ბაზა ძირითადად მოიცავს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს; ქართველი ავტორების კვლევებს; ინტერნეტ რესურსებს; სამეცნიერო სტატიებში გამოყენებულ მასალებს და დისერტაციებში ჩატარებული კვლევის შედეგებს.

კვლევის მეცნიერული სიახლე. მდგომარეობს თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ფინანსური რისკების მართვის პროცესის შესწავლასა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების განსაზღვრაში. მეცნიერული სიახლის გარკვეული სახის ელემენტები შემდეგია: განსაზღვრულია საბანკო რისკების,

კერძოდ კი, ფინანსური რისკების არსი და თავისებურებები; საბანკო ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე შემუშავებულია მისი სრულყოფის გზები.

თავი I

საბანკო რისკების მენეჯმენტი


1.1 საბანკო საქმიანობაში რისკის ცნების და კლასიფიკაციის განსაზღვრა, რისკის მართვის ხერხები

ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, მათ შორის საბანკო საქმიანობაც დაკავშირებულია რისკთან. რისკის ქვეშ მოიაზრება საბანკო საქმიანობის შედეგების შესაძლო გადახრა პროგნოზულიდან უარყოფით მხარეს. რისკი გამოიხატება ბანკისათვის არასასურველი შიდა და გარე გარემოებების შემოტევა და კონცენტრირებაში, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მოგების დაკარგვა, რესურსული ბაზის შემცირება, მნიშვნელოვანი ზარალი, ლიკვიდურობის დაკარგვა და ყველაზე უარეს შემთხვევაში - გაკოტრება.

რისკის განევა-საბანკო საქმიანობის საფუძველია. ბანკში წარმატებას მხოლოდ მაშინ აღწევენ, როდესაც მათ მიერ მიღებული რისკები გონივრულია, კონტროლირებადია და იმყოფება მათი კომპეტენციისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში.

ზოგადად, საბანკო რისკი არის ალბათობა იმისა, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ მოვლენას, რომელიც განსხვავდება დაგეგმილისაგან და უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე. საბანკო რისკების განმარტების სხვადასხვა ვერსია არსებობს. მათ შორის ყველაზე სრულყოფილია შემდეგი: საბანკო რისკი არის მომავალში ფულად ნაკადებთან დაკავშირებული გაურკვევლობა, დანაკარგებისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევის, ასევე წინასწარ განსაზღვრული შემოსავლების ვერმიღების ალბათობა საბანკო ოპერაციების განხორციელებისას.

საბანკო რისკები თავის მხრივ იყოფა შემდეგ რისკებად: ფინანსური რისკები; მომსახურების მიწოდების რისკები; მმართველობითი რისკები და დანარჩენი(გარე) რისკები.



ბანკის აქტივები უნდა იყოს საკმაოდ ლიკვიდური იმისთვის, რომ დაფაროს სახსრების ნებისმიერი გაღინება, ხარჯები, ზარალი და ამასთან ერთად, უზრუნველყოს აქციონერებისათვის დასაშვები მოგების სიდიდე. ამ მიზნების მიღწევა ბანკის პოლიტიკის ძირითადი საფუძველია.

ბანკები საქმიანობის პროცესში აწყდებიან მრავალი სახის რისკს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება წარმოშობის ადგილისა და დროის მიხედვით, შიდა და გარე ფაქტორების შეთავსებით, რაც მოქმედებს მათ ღონეზე და მოითხოვს აღწერისა და ანალიზის სხვადასხვა მეთოდს. ამის

გარდა, ყველა სახის რისკი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ზემოქმედებას ახდენს ბანკის საქმიანობაზე.¹

საბანკო საქმიანობის რისკები წარმოშობის სფეროს მიხედვით, შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად:

- გარე რისკები კონკრეტულ რეგიონში ან ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციით განისაზღვრება, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ყველა ბანკზე მათი სიდიდის, სპეციალიზაციის ან დივერსიფიკაციის მიუხედავად. გარე რისკებს მიეკუთვნება: ქვეყნის და რეგიონული რისკი. **ქვეყნის რისკი** უშუალოდაა დაკავშირებული მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე ბანკის გასვლასთან და დამოკიდებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან სოციალურ სტაბილურობაზე, რომელიც არსებობს იმპორტიორი ან ექსპორტიორი ქვეყნებისათვის. ქვეყნის რისკი განსაკუთრებულად ნათლად ჩანს უცხოეთის მთავრობების ასევე ქვეყნების დაკრედიტებისას, რადგან ასეთი კრედიტების დაბრუნება ჩვეულებრივ არ არის უზრუნველყოფილი. **რეგიონული რისკი** - ბანკის წარმატებით ფუნქციონირების პირობაა რეგიონში არებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება. აღნიშნულისათვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორების შესწავლა: ფულადი სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა და მისი სტრუქტურული დახასიათება; საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნის კონიუნქტურა; შეთავაზებული მომსახურების მოცულობის მიხედვით ბაზრის პოტენციური ტევადობა და საბანკო მომსახურებაზე არსებული დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა; საბირჟო ვაჭრობის მოცულობის დინამიკის, შემოსავლიანობის ცვლილების განსაზღვრა, ბანკთაშორისი კრედიტების საპროცენტო განაკვეთი, ინფლაციის ტემპი და სხვა.

- შიდა რისკები - განპირობებულია თავად ბანკის საქმიანობით და პრინციპებით, რომელიც საფუძვლად უდევს საბანკო პოლიტიკის

¹ ბერიძე, რ. საბანკო მენეჯმენტი. თბილისი. უნივერსალი. 2009.

გატარებას. შიდა რისკები ბანკის სახესა და სპეციფიკაზე დამოკიდებული. შიდა რისკებზე გავლენას ახდენს ორი ძირითადი ფაქტორი: შიდა რისკები დაკავშირებულია ადამიანურ ფაქტორთან, ანუ ბანკის არასწორი მენეჯმენტი, პერსონალის არასაკმარისი მომზადება და უფლებამოსილების გადაჭარბება იწვევს ბანკის შიდა რისკებს; ცალკეული ოპერაციის ჩატარების დროს წარმოქმნილი რისკები, რომლებიც იყოფა - ფინანსურ და დროებითი სახის რისკებად. საბანკო საქმიანობის შიდა რისკებია: საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, საპროცენტო რისკი, ლიკვიდობის დაკარგვის რისკი, ოპერაციული რისკი და სავალუტო რისკი.

რისკის მართვის ხერხები - რისკის დაწვევის ძირითად ხერხებს ფინანსურ საქმიანობაში დარგობრივი კუთვნილების მიუხედავად წარმოადგენს დაზღვევა, რეზერვირება (თვითდაზღვევა), ჰეჯირება, განაწილება, დივერსიფიკაცია, მინიმალიზაცია (აქტივების და პასივების მართვა) და თავის არიდება (უარის თქმა რისკთან დაკავშირებულ ოპერაციებზე).

აღნიშნული ხერხები პირველ რიგში განსხვავდებიან თავიანთი არსით, რომელიც მდგომარეობს რისკის მესამე პირისათვის გადაცემაში (დაზღვევის, ჰეჯირების, გარანტირების და განაწილების დროს) ან მის საკუთარ განკარგულებაში დატოვებაში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში რისკის დონის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ ორგანიზაციის მფლობელები და მართველები, ხოლო სახელმწიფოს ძალისხმევა ძირითადად მიმართულია მიღებული რისკის რეალიზაციის შედეგების მინიმალიზაციისაკენ.

საბანკო საქმეში რეზერვირება წარმოადგენს იმ კონკრეტული რისკების ერთობლიობის მართვის ძირითად საშუალებას, რომელიც არ შეიძლება გადაცემული იყოს მზღვეველზე ან თავლებზე. მოსალოდნელი დანაკარგის კომპენსირების მიზნით ბანკები ახდენენ საკუთარი კაპიტალის, ასევე აუცილებელი რეზერვების ფორმირებას ბანკის გაცემულ სხვადასხვა სესხზე

და აქტივებზე შესაძლო დანაკარგებისთვის, რომელიც წარმოადგენს ბანკის ხარჯებს.

დაზღვევა მიზნად არ ისახავს რისკის გამოვლენის ალბათობის შემცირებას, არამედ მიმართულია მისი წარმოქმნის შემთხვევაში მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე.

ჰეჯირება არის შესაძლო დანაკარგების დაცვის საშუალება განონასწორებელი გარიგების გზით. ჰეჯირება განკუთვნილია საბაზრო რისკების ზემოქმედების შედეგად ჩადებული სახსრების შესაძლო დანაკარგების შესამცირებლად და იშვიათად გამოიყენება საკრედიტო და ხდომილების რისკის შესამცირებლად. ისევე როგორც დაზღვევის შემთხვევა, ჰეჯირებაც მოითხოვს დამატებითი ფინანსური რესურსების მოცდენას საოფციონო პრემიის გადახდის ან მარჟის შეტანის გზით. ჰეჯირება გულისხმობს რაიმე სარგებლის ან ზარალის მიღების გამორიცხვის ალბათობას. ამგვარი „ორმაგი გარანტია“ განასხვავებს სრულ ჰეჯირებას კლასიკური დაზღვევისგან.

რისკის დანევა ასევე შეიძლება მიღწეულ იქნას მისი გარიგების მონაწილეთა შორის **განაწილებით**. მაგალითად, რისკის შეტანით პროდუქციის ღირებულებაში, გარანტიების მიცემით, ქონების უზრუნველყოფით და ა.შ.

დივერსიფიკაცია არის რისკის ერთობლივი ზემოქმედების შემცირების საშუალება დაბანდებების ან ვალდებულებების განაწილების გზით. ყველაზე ხშირად დივერსიფიკაციაში იგულისხმება ფინანსური აქტივების ერთზე მეტი სახეობის აქტივში განთავსება, რომელთა ფასები ან შემოსავლიანობა სუსტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

დივერსიფიკაცია არის საბაზრო და საკრედიტო რისკების დანევის ერთ-ერთი პოპულარული მექანიზმი ფინანსური აქტივების პორტფელის, საბანკო სესხების ან პასივების ფორმირებისას.

მინიმიზაცია გულისხმობს აქტივების და ვალდებულებების დანვრილებით დაბალანსებას, იმისათვის რომ მინიმუმამდე დაიყვანოს პორტფელის წმინდა ღირებულების რყევები. ამ შემთხვევაში არ წარმოიქმნება რეზერვის შესაქმნელად სახსრების მოზიდვის საჭიროება. აქტივების და პასივების მართვა ძირითადად მიმართულია დიდი რისკის თავიდან ასაცილებლად პორტფელის დინამიური რეგულირების გზით. ჰეჯირებისგან განსხვავებით, რომელიც რისკის ნეიტრალიზაციაზეა დაფუძნებული, ეს მეთოდი მიმართულია საქმიანობის პროცესში რისკის თავიდან აცილებაზე.

რისკების მართვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხერხი წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტის არსენალს, რომლის მეშვეობითაც ხდება მთავარი ამოცანის - კონკურენციის პირობებში გადარჩენის, ცალკეული ორგანიზაციის დონეზე საბაზრო ღირებულების აწევის და ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკის დონეზე ფინანსური სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობის უზრუნველყოფა.²

1.2. რისკების მართვის თავისებურებები საბანკო სექტორში, ისტორიული მიმოხილვა.

თანამედროვე მსოფლიოში უამრავი რისკია. ზოგიერთი მათგანი ცალკეულ ადამიანზე ახდენს გავლენას, ზოგი რისკი კი მთელს საზოგადოებას უქმნის საფრთხეს, ზოგიერთი სპეციფიკური რისკი მხოლოდ გარკვეული სფეროსა თუ საქმიანობაზე მოქმედებს. რისკით განპირობებული ზარალის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისგან დაცვას, მისი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას.

რისკის და მისგან გამონვეული ზარალის აცილების ეფექტური მეთოდებია: რისკის მართვა და დაზღვევა.

² მაგრაქველიძე, დ. ფინანსური რისკები და მათი ხარისხის დანების მათემატიკური მოდელები. თბილისი. 2015.


რისკის მართვა წარმოადგენს რისკის და მისგან გამონეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ან შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობას.

რისკის მართვა ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რადგან რისკის დონე გავლენას ახდენს მომხმარებლის, ასევე საბანკო სფეროს შემოსავლებზე. რისკის მართვის მიზანია საზოგადოებაზე ან ფინანსურ ორგანიზაციებზე მოქმედი საფრთხეების აქტიური კონტროლი. იგი საშუალებას იძლევა მინიმუმამდე შეამციროს სხვადასხვა რისკების ზემოქმედების შედეგად გამონეული ზარალი და კატასტროფული დანაკარგების დადგომის ალბათობა. რაც უფრო მოულოდნელია რისკი მით მეტი რესურსია საჭირო მის მიერ გამონეული შედეგების თავიდან აცილებისთვის. რისკის მართვის პროცესი რაც უფრო ეფექტურად არის დაგეგმილი, მით უფრო ეფექტურია საზოგადოების ან ფინანსური ორგანიზაციის საქმიანობა.

რისკის მართვა შედგება სამი ეტაპისაგან:

- რისკის ანალიზი;
- რისკის მართვა;
- კონტროლი.

რისკის მართვა



თავდაპირველად ხდება რისკის ანალიზი. ამ დროს ხორციელდება რისკის სტრუქტურის შესწავლა, რისკის თვისებების და მისი შესაძლო ცვლილებების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღება. რისკის ანალიზი წარმოადგენს რისკის გამოვლენას და შეფასებას იმ მოსალოდნელი საშიშროების მიხედვით, რაც შეიძლება ამ რისკმა გამოიწვიოს. რისკის ანალიზის მიმდინარე პროცესი იყოფა 2 ეტაპად: რისკების იდენტიფიკაცია და რისკის შეფასება. რაც უფრო მაქსიმალურად არის გამოვლენილი რისკი, მით უფრო წარმატებით ხდება მისი მართვა.

რისკების რანგირება წარმოადგენს რისკის ანალიზის მარტივ მეთოდს. იგი გულისხმობს რისკების ანალიზს რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით, კერძოდ, ანალიზდება ზარალის ზომა, ანუ ზარალის ზომის მიხედვით რომელია მეტად სერიოზული, და რომელი - ნაკლებად

სერიოზული, რომელია ნაკლებად სავარაუდო და რომელი უფრო სავარაუდო.

რისკების შეფასებისას მნიშვნელოვანია რისკების გაერთიანება შესაძლო დანაკარგების ჯერადობის და სიდიდის მიხედვით. ამგვარად, რისკები შეიძლება გაიზომოს ხარისხობრივად: მაღალი, საშუალო და დაბალი რისკები.

მაღალი რისკი დროს არსებობს რისკის დადგომის ალბათობა ყოველწელს ან ალბათობა მეტია 25 %-ზე. რისკები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებასა და მის საქმიანობაზე;

საშუალო რისკი დროს არსებობს რისკის დადგომის ალბათობა 10 წელიწადში ერთხელ, ან ალბათობა ნაკლებია 25 %-ზე. რისკები საშუალო გავლენას ახდენენ ორგანიზაციის სტრატეგიულ საქმიანობასა და განვითარებაზე;

დაბალი რისკის დროს არ არსებობს მოვლენის დადგომის ალბათობა 10 წლამდე პერიოდში, ან ალბათობა ნაკლებია 2 %-ზე; რისკები სუსტ გემოქმედებას ახდენენ ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებასა და საქმიანობაზე.

რისკის ანალიზის შემდეგ ხორციელდება რისკის მართვის მეთოდის შერჩევა. რისკის მართვისათვის გამოიყენება 4 ძირითადი მეთოდი:

- რისკის აღმოფხვრა
- რისკის შემცირება
- რისკის დაკავება
- რისკის გადაცემა

რისკის აღმოფხვრა წარმოადგენს რისკის დადგომის ალბათობის ალბათობის დაყვანას მინიმუმამდე, ანუ არსებულ რისკთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაზე და ღონისძიებაზე უარის თქმას.

რისკის შემცირება არის რისკის დადგომის და ზარალის ალბათობის სიდიდის შემცირება.

რისკის დაკავება ნიშნავს, რომ ადამიანი ან ორგანიზაცია მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს საკუთარ თავზე ზარალს.

რისკის მართვის კიდევ ერთი მეთოდია რისკის გადაცემა. დაზღვევა რისკის გადაცემაა, ამ დროს, რისკით გამონწვეულ ზარალის ანაზღაურებაზე ვალდებულება გადაეცემა სადაზღვევო კომპანიაზე, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. ამისათვის ფორმდება შესაბამისი ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებები.

რისკის მართვის ბოლო ეტაპია **რისკის მართვის პროცესის მონიტორინგი და კონტროლი**. კონტროლი გულისხმობს წარმოშობილი ზარალის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, თუ რა ზომები იქნა მიღებული მათ მინიმუმამდე დასაყვანად, რამდენად ეფექტურია აღნიშნული მეთოდები და რა ცვლილებებია მისაღები რისკის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად.

რისკის კონტროლი წარმოადგენს ზარალის, ლიკვიდაციისა და მინიმალიზაციის პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას, რისკის დაზღვევის პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს და ინსპექტირებას.³

ფინანსური კრიზისები, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ყველაზე მეტად საბანკო სექტორს ეხება. ამაზე მეტყველებს 2008-2009 წლების მრავალი ნეგატიური ფაქტორი, რომელთა შორისაა: კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალის შემცირება, საპროცენტო განაკვეთის მომატება, ვადაგადაცილებული კრედიტების ზრდა, ანგარიშგებითი პერიოდის ზარალით დასრულება და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტკრიზისულ პერიოდში საბანკო რისკების მართვა მრავალი საბანკო დანესებულების უმთავრეს ამოცანად იქცა. მართალია, საბანკო რისკები თან ახლავს ყველა საბანკო ტრანზაქციას, ოპერაციას, ახალი საბანკო პროდუქტის შექმნას, მაგრამ რისკები ყველაზე მაღალია ფინანსური კრიზისების პერიოდში. ეს გვიჩვენა არა მხოლოდ 2008 წელს დაწყებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა(ე.წ. 2008-2010 წლების

³ ვერულავა, თ. რისკის მართვა. თბილისი. 2013.

კრიზისი), არამედ წინამორბედმა მსოფლიო კრიზისებმაც. XIX-XX საუკუნეებში აღმოცენებული ფინანსური კრიზისები უკავშირდება საბანკო პანიკას და აქედან წარმოშობილ რეცესიებთან. სხვა სიტუაციებში წარმოქმნილი კრიზისები უკავშირდება საფონდო ბირჟების ინდექსების ვარდნას, ე.წ. ფინანსურ საპნის ბუბტებს და სავალუტო კრიზისებს. ასეთი იყო 2000-იანი წლების დასასრულის ფინანსური კრიზისი, რომელსაც „credit crunch“ ანუ საკრედიტო გაღარიბება ეწოდა. ასევე 1997 წელს აღმოცენებული აზიური ფინანსური კრიზისი, რომელსაც ეწოდა „დევალვაცია და საბანკო კრიზისი აზიის გარშემო“. 1987 წლის კრიზისს კი „Black Wednesday“, ანუ „შავი ოთხშაბათი“ ეწოდა-სპეკულაციური თავდასხმები ევროპის გაცვლითი კურსის მექანიზმზე და ა.შ.

საბანკო რისკების რეგულირების მექანიზმი მრავალფეროვანია და კომპლექსურად მოქმედებს , ანუ ავსებს ერთმანეთს. საბანკო სისტემის დონეზე ძირითად მარეგულირებლებს სახელმწიფო ორგანოები (ცენტრალური ბანკი) და თვითრეგულირებადი ორგანოები(კომერციული ბანკების რისკების მართვის სამსახური) წარმოადგენს. მაგრამ , ბოლო პერიოდში , მრავალი ქვეყნის საბანკო სექტორმა ყურადღება გაამახვილა საბანკო ზედამხედველობის **ბაზელის კომიტეტის** მიერ შემოთავაზებული რეგულირების მექანიზმებზე.⁴

ბაზელის კომიტეტი-საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის კომიტეტი დაარსდა 1974 წლის ბოლოს 10 ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ, მას შემდეგ, რაც საბანკო ბაზრის მდგომარეობისა და სხვადასხვა ქვეყნებში საბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის სფეროში წამოიჭრა რიგი პრობლემები. ამ ორგანიზაციის დაფუძნების ფაქტობრივ მიზეზად იქცა იმ წელს დასავლეთ გერმანული ბანკის „ბანკჰაუს ჰერშტატის“ გაკოტრება, რომელმაც დაღი დაასვა არა მარტო აღნიშნულ ქვეყანას, არამედ იმ

⁴ ნარმანია,დ. ფარესაშვილი, ნ. რისკ-მენეჯმენი ბიზნესში. თბილისი. უნივერსალი. 2012

სახელმწიფოების საბანკო სფეროსაც, სადაც მისი ფილიალები მდებარეობდა.

ამ კომიტეტის შემადგენლობაში 27 ქვეყნის ცენტრალური ბანკისა და საბანკო ზედამხედველობის წარმომადგენლები შედიან. ბაზელის კომიტეტმა მიიჩნია, რომ გლობალიზაციის პირობებში მთავარი პრინციპი არის საერთაშორისო საბანკო სისტემის უნარის გაძლიერება კრიზისებისადმი წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით. შესაბამისად, კომიტეტმა პირველ რიგში მოახდინა ნაციონალური ბანკების სტანდარტიზირება საბანკო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების მიმართ, რადგან დაბალი მოთხოვნები კაპიტალის ადეკვატურობისადმი ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია გამოიყენოს უფრო მეტი მოზიდული სახსრები აქტიური ოპერაციების დასაფინანსებლად, რაც ამცირებს დაფინანსების ღირებულებას და ზრდის რენტაბელობას ანუ მომგებიანობის მაჩვენებელს.

ბაზელის კომიტეტს გამოშვებული აქვს საბანკო რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების მთელი სერია, რომელიც ცნობილია ბაზელი I, ბაზელი II და ყველაზე უახლესი ბაზელი III სახელით.⁵

რეგიონალური ჯგუფის დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდა 1995 წლის 24-25 ოქტომბერს ერევანში. ექვსი ქვეყნის (სომხეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი) ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეგიონალური ჯგუფის შექმნის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს კომერციული ბანკების საქმიანობის მონიტორინგს ბაზელის სტანდარტებით. როგორც ეროვნული ბანკის ოფიციალურ საიტზე ვკითხულობთ, კომერციული ბანკების კაპიტალის

⁵ მურვანიძე, თ. სამაგისტრო ნაშრომი ბაზელის კომიტეტი და საბანკო რეგულაციები საქართველოში. თბილისი 2019წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.


მოთხოვნები განისაზღვრება ბაზელი III -ის სტანდარტებითა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის რეგულაციით.

1.3. ფინანსური რისკების კლასიფიკაცია საბანკო სექტორში

საბანკო რისკების უკეთ გაანალიზებისა და მართვის უკეთესი სისტემის შესაქმნელად მნიშვნელოვანია მათი კლასიფიკაცია. რისკების ბუნების ღრმად გასაანალიზებლად განვიხილოთ საბანკო რისკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკი - ფინანსური რისკი, რომელიც წარმოშობის წყაროებით რისკს განეკუთვნება. თავის მხრივ, ფინანსური რისკი მოიცავს: საკრედიტო რისკს, საპროცენტო რისკს, სავალუტო რისკს, საფონდო რისკს, ლიკვიდობის რისკს, ინფლაციის რისკს, გადამხდელუნარიანობის რისკს.

საკრედიტო რისკს შეიძლება თამამად ვუწოდოთ ბანკების „მთავარი რისკი“. იგი განიმარტება, როგორც პარტნიორის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი გულისხმობს გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობის რისკს, თუმცა, აქ ასევე შედის ბანკების კლიენტებთან ურთიერთობის სხვა მიმართულებაც - სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, დოკუმენტური ოპერაციები და სხვა. ამ რისკს კავშირი აქვს არა მარტო დაკრედიტებასთან, არამედ სხვა ფინანსურ ოპერაციებთანაც, რომლებიც ისახება ბანკის ბალანსში ან ბალანსგარეშე აღრიცხვაში. ერთ კლიენტზე მსხვილი კრედიტის გაცემა - საკრედიტო რისკის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მსხვილი კრედიტების გაცემის დროს წარმოიშობა მზარდი რისკი, როდესაც კრედიტები გაიცემა იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე, რომლებსაც გააჩნიათ უნარი პირდაპირ ან ირიბად გააკონტროლონ ბანკი. საკრედიტო რისკების მართვის პროცესი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან მის ხარისხზე დამოკიდებული ბანკის მუშაობის წარმატება.⁶


⁶ კოვზანაძე, ი. კონტრიძე, გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი. 2014.



როგორც დიაგრამიდან ჩანს 2019 წლის იანვრიდან ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა პანდემიის დაწყებამდე სტაბილური იყო, თუმცა 2020 წლის აპრილის თვიდან ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა, რაც 2019 წლის აპრილის თვის მაჩვენებელთან შედარებით 17 მილიონ 145 ათას ლარით მეტი იყო. პანდემიის გავლენა ვადაგადაცილებული სესხების ზრდაზე პირდაპირ ასიახა მიუხედავად იმისა, რომ კომერციულმა ბანკებმა მოახდინეს იმ მომხმარებლების სასესხო შენატანების გადავადება ვინც პანდემიის შედეგად დაკარგა შემოსავალი. ამის გათვალისწინებით 2020 წლის ვადაგადაცილებული სესხების საშუალო მაჩვენებელმა 497 მილიონ 860 ათას ლარი შეადგინა, რაც წინა წლის საშუალო მაჩვენებელს 15 მილიონ 579 ათასი ლარით აღემატება. თუმცა


ამჟამად გარკვეულ ბიზნეს მომხმარებლებზე გაცემული სესხების ნაწილი ჯერ კიდევ გადავადებულია 2021 წლის მარტის თვემდე, ამიტომ აღნიშნული მაჩვენებლები არ ასახავს რეალურს სურათს იმის შესახებ თუ რამდენმა ბიზნეს მომხმარებელმა დაკარგა შემოსავალი პანდემიის შედეგად, ვინც ბანკში სარგებლობს აქტიური სესხით.

საპროცენტო რისკი არის პოტენციური ზარალი, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ეს რისკი ისახება როგორც ბანკის შემოსავლებში, ასევე მისი აქტივების ღირებულებაში, ვალდებულებებსა და არასაბალანსო ანგარიშებში. საპროცენტო რისკი ვლინდება როგორც წმინდა საბანკო ოპერაციების, აგრეთვე საფინანსო ბაზრებზე ოპერაციების მიხედვით. ამ დროს რისკი მოიცავს შემდეგ რისკებს: გადაფასების რისკი, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და პასივების ვადიანობის სხვაობაში, ასევე არასიმეტრიული გადაფასების დროს, რომელიც გამოიყენება მცოცავი ან ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით სარგებლობის შემთხვევაში; საბაზისო რისკი, რომელიც დაკავშირებულია არასრულყოფილ კორელაციასთან და გამოიყენება გადასახდელი პროცენტის კორექტირების დროს; ოპციონური რისკი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ბევრი აქტივი, ვალდებულება და ბალანსგარეშე რისკები პირდაპირ ან ირიბად მოიცავს ოპერაციის დამთავრების ვარიანტებიდან ერთის შერჩევის შესაძლებლობას.



დიაგრამიდან ნათლად ჩანს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები. 2019 წელთან შედარებით 2020 წელს გაზრდილია საშუალოდ 1%-ით. პანდემიის დაწყებიდან 2-3 თვის განმავლობაში ბანკებმა მოახდინეს საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, რადგან შეემცირებინათ სესხებზე მოთხოვნა, იმის გათვალისწინებით, რომ ვერ ხდებოდა დაკრედიტების პროცესში რისკების განსაზღვრა, მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში მიმდინარე არაპროგნოზირებადი პროცესების გამო.

სავალუტო რისკი, იგივე საკურსო დანაკარგების რისკი, წარმოადგენს სავალუტო კურსების მერყეობის შედეგად ფულადი დანაკარგების შესაძლებლობას. თავის მხრივ სავალუტო რისკების სტრუქტურიზება ხდება შემდეგი სახით: კომერციული - უკავშირდება მევალის სურვილის უქონლობას ან შეუძლებლობას დაფაროს ნაკისრი ვალდებულებები; კონვერსიული (ნაღდი) რისკი წარმოადგენს კონკრეტული ოპერაციების მიხედვით სავალუტო ზარალის რისკს; ტრანსლაციური რისკი - უცხოეთის ფილიალების კლიენტების აქტივებისა და პასივების, ასევე „მოგება-ზარალის“ ანგარიშების გადაფასებისას წარმოიქმნება.



უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები ბევრად ნაკლებია ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებთან შედარებით. ბანკში ძირითადი ინვესტიციები ხდება უცხოურ ვალუტაში ამიტომ ბანკისთვის უფო მოსახბანკში ძირითადი ინვესტიციები ხდება უცხოურ ვალუტაში ამიტომ ბანკისთვის უფო მოსახხებელია სესხი გასცეს უცხოურ ვალუტაში, რადგან ეროვნულ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი სესხი მეტად რისკიანია ვალუტის კურსის ცვალებადობის გამო, ამიტომ ბანკი ხელოვნურად ზრდის მოტხოვნას უცხოურ ვალუტაზე. ბოლო 3 წელში ლარის კურსის მკვეთრი გაუფასურება ზუსტად აისახა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების კლებაზე, რაც ნათლად ჩანს დიაგრამაზე.

საფონდო რისკი არის შემოსავლების შემცირების ან ზარალის მიღების რისკი, ფასიანი ქაღალდების კვოტირების არასასურველი ცვლილებების გამო.

ლიკვიდობის დაკარგვის რისკი არის ბანკის რისკი, დაფაროს აღებული ვალდებულებები დათქმულ ვადაში, ე.ი. უპასუხოს კრედიტორებისა და მენაბრეების ყველა მოთხოვნას. ლიკვიდობის რისკი კომერციულ ბანკს

შეიძლება წარმოექმნას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობით, როგორცაა: კრედიტის გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა და ა.შ. ბანკი ითვლება ლიკვიდურად იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია მოიზიდოს სახსრები გონივრული ფასით იმ მომენტში, როდესაც ის აუცილებელია. განასხვავებენ სწრაფი ლიკვიდობის რისკს და საშუალოვადიან ლიკვიდობის რისკს. სწრაფი ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომელიც ბანკი განიცდის რესურსების ნაკლებობით და ვერ აკმაყოფილებს კლიენტების მოთხოვნას. საშუალოვადიანი ლიკვიდობის რისკი არის დაუგეგმავი ხარჯებისგან გამომწვეული დაკარგვის რისკი, რომლებიც გამომწვეულია ბანკის მიერ ნორმალური ფასებით ფულადი სახსრების მოზიდვის სიძნელეებით.

ლიკვიდობის რისკის მართვა უაღრესად მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდობის პრობლემები შეიძლება დამანგრეველი იყოს არა მარტო ბანკისათვის, არამედ მთლიანად საბანკო სისტემისათვის.

ინფლაციის რისკი არის რისკი იმისა, რომ ინფლაციის ზრდის დროს მიღებული ფულადი სახსრები უფასურდება და ეკარგება რეალური მსყიდველუნარიანობა.

გადამხდელუნარიანობის რისკი წარმოექმნებათ კომერციულ ბანკებს ფინანსური კრიზისის დროს, როდესაც ვერ ახერხებენ ნაკისრი ვალდებულებების დაფარვას.

კომერციული ბანკის მუშაობის უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპია, მეტი მოგების მიღება. აღნიშნული სურვილი შეზღუდულია იმ შესაძლო რისკებით, რომლებიც თან ახლავს საბანკო საქმიანობას, ამიტომ ბანკი ცდილობს თავი აარიდოს ამ რისკებს ან მინიმუმამდე დაიყვანოს და შეამციროს შესაძლო დანაკარგები. თუმცა რაც უფრო რისკიანია ოპერაცია, მით უფრო მაღალია მოგების მიღების ალბათობა. ამის საპირისპიროდ, რაც უფრო ნაკლებია რისკი, მით ნაკლებია მაღალი მოგების მიღება. ამიტომ, სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტიდან იმ შესაძლებლობის არჩევა, რომლის

დროსაც აღმოჩენილი იქნება რისკიანობისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური შესაბამისობა, არის ბანკის მენეჯმენტის უმთავრესი ამოცანა. აღნიშნული კი მხოლოდ საბანკო რისკების კარგად ცოდნის, კონტროლისა და მართვის შესაბამისი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში მიიღწევა.

ფინანსური რისკი დევს ბანკის ნებისმიერ ოპერაციაში, მაგრამ მათი მასშტაბი და უარყოფითი გავლენა სხვადასხვაა. რისკის ღონე იზრდება მაშინ, როცა პრობლემები ჩნდება გაუთვალისწინებლად და ბანკი არ აღმოჩნდება მზად მის დროულად და მაქსიმალურად გასანეიტრალებლად. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი და სასურველი მოგების მიღება კომერციულ ბანკში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდო რისკები, ანუ მოსალოდნელი დანაკარგების ალბათობა, წინასწარაა შესწავლილი, გათვლილი და დაზღვეული.⁷

⁷ ბასილაია, ვ. საბანკო საქმე. თბილისი. 2018.

თავი II

საკრედიტო რისკების მართვა

2.1. ინდივიდუალური მსესხებლის საკრედიტო რისკის და საკრედიტო პორტფელის მართვა.

საკრედიტო ოპერაციებისა და მიზნობრივი დაფინანსების საკრედიტო რისკის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დებიტორის ფინანსური მდგომარეობა, კერძოდ კი ის, თუ რამდენად სწრაფად დათვარვის უნარი აქვს მას, აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილი გირაო და გარანტიები. დებიტორის რისკის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს დებიტორის გარემოს ანალიზი, ბიზნეს-პარტნიორების მახასიათებლები, აქციონერთა და მენეჯმენტის ხარისხი, ბოლო ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა, ბიზნეს-გეგმის ხარისხი, ფულადი ნაკადების პროექტი, და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს დებიტორის მდგომარეობისა და კრედიტუნარიანობის კომპლექსური ანალიზის ჩასატარებლად.

კრედიტის უზრუნველყოფის სახეობად შეიძლება გამოყენებულ იქნას ქონებით უზრუნველყოფა, მესამე პირის თავდებობა ან თანამსესხებლობა. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების ძირითად მეთოდებს წარმოადგენს: ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი; მსესხებლის ხარისხის რეიტინგული შეფასება; იურიდიული პირებისთვის-გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების სტატისტიკური მოდელები და ფიზიკური პირებისთვის-საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დარღვევა.

ინდივიდუალური მსესხებლის კრედიტის-საკრედიტო რისკის მართვასთან ერთად ბანკები მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკის მართვასაც ახორციელებენ: კრედიტების სახეობის მიხედვით(კომერციული

და სამომხმარებლო); დარგების მიხედვით, მსესხებლის სახეობის მიხედვით(საკუთრების ფორმა, ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა); ვადების მიხედვით; ვალუტის სახეობის მიხედვით; საპროცენტო განაკვეთის მიხედვით(ფიქსირებული და მცურავი); უზრუნველყოფის მიხედვით (იპოთეკა, ლიზინგი) და ა.შ.

საკრედიტო რისკის შეფასების პროცესის ეფექტიანობასა და ქმედითობის გასაუმჯობესებლად ბანკს უნდა ჰქონდეს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტი და დროული ანგარიშგებისა და მონაცემების მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებას შესაბამისი პირების მიერ.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემამ უნდა:

- შეიმუშაოს ანგარიშები და ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს აქტიური რისკის მონიტორინგს და მათ შედარებას დაწესებულ ლიმიტებთან.
- უზრუნველყოს ზუსტი მონაცემები თითოეული მსესხებლისა და მხარის მთლიანი საკრედიტო რისკის და საკრედიტო პორტფელის შესახებ.
- მისცეს საშუალება დირექტორატს, დაადგინოს ნებისმიერი რისკის კონცენტრაცია საკრედიტო პორტფელში.

ბანკმა უნდა შექმნას კრედიტების დამოუკიდებელი და მუდმივი განხილვის შიდა სისტემა საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. განხილვა უნდა განხორციელდეს იმ სტრუქტურის ან პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც დამოუკიდებელი იქნება საკრედიტო რისკის ოპერაციების განმახორციელებელი სტრუქტურისაგან.

ბანკმა უნდა შექმნას და გამოიყენოს შიდა კონტროლი, რათა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი გამონაკლისი პოლიტიკიდან, პროცედურებისა და ლიმიტებიდან დროულად იქნეს მიწოდებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის, მათ მიერ მაკორექტირებელი ღონისძიებების

გასატარებლად. შიდა აუდიტის ჩატარებისას შიდა აუდიტის სამსახურმა უნდა შეამოწმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სისტემის ემედიოუნარიანობა, უსაფრთხოება და მისი შესაბამისობა მოქმედ პოლიტიკასთან, ინსტრუქციებთან და ბანკის შიდა პროცედურებთან. არაეფექტიანობის ან უზუსტობის ნებისმიერი შემთხვევა ამ სისტემაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დირექტორატს და რისკის მართვის სამსახურს იმისათვის, რომ მათ დაუყოვნებლივ მიიღონ შესაბამისი ზომები.

ბანკს გააჩნია პრობლემური სესხების მართვის პროცედურები, მათ შორის, წერილობითი სისტემა, რომელიც ავლენს პრობლემურ სესხებს. სესხების კლასიფიკაცია წარმოებს ხუთი კატეგორიის მიხედვით, ესენია:

- საიმედო სესხები;
- საყურადღებო სესხები;
- არასტანდარტული სესხები;
- საეჭვო სესხები;
- უიმედო სესხები.

სესხის დაფარვის და სხვა აქტივების ამოღების შეუძლებლობის დადგენის შემთხვევაში, ბანკებმა უნდა ჩამოწერონ „უიმედო“ სესხები, მაგრამ ბანკის მიერ სესხის ჩამოწერა არ ითვლება ვალის გაუქმებად. აღნიშნული ვალი უნდა დარჩეს სპეციალურ გარესაბალანსო ანგარიშებზე მისი ჩამოწერის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. ბანკმა უნდა მიიღოს ზომები როგორც ვადაგადაცილებული პროცენტის, ისე ძირითადი თანხის ამოსაღებად. ასეთ აქტივებზე პროცენტების დარიცხვა გრძელდება გარესაბალანსო ანგარიშზე, რათა კვლავ ხდებოდეს მიმდინარე ვალდებულების ასახვა.

თუ მოვალე არ გადაიხდის ჩამოწერილ სესხს 5 წლის განმავლობაში, სესხის როგორც ძირითადი თანხა, ისე პროცენტი გაუქმებული იქნება სპეციალური გარესაბალანსო უწყისის ანგარიშიდან ბუღალტრული

სტანდარტის შესაბამისი გატარებების მეშვეობით, რაც არ ნიშნავს სესხის ამოღების პროცედურების შეწყვეტას.⁸

2.2. საბანკო საკრედიტო რისკის თავიდან აცილების მეთოდები.

საბანკო დაწესებულებაში საკრედიტო თანამშრომლების შერჩევა, შეფასება და მოტივაცია - ბანკის საკრედიტო განყოფილების თანამშრომლების შერჩევის, შეფასებისა და მოტივაციის ხერხების გონივრული გამოყენება საბანკო საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად აღმოფხვრას უწყობს ხელს. ბანკში დასაქმებული თანამშრომლის რისკისადმი დამოკიდებულების კუთხით ადამიანების 4 ძირითადი ფსიქოლოგიური ტიპი შეიძლება გამოიყოს: „მენარმე“; „ინვესტორი“; „მოთამაშე“ და „სპეკულიანტი“.

თანამშრომლის სამსახურში აყვანის დროს ბანკი სხვადასხვა სოციალურ და ფუნქციონალურ ასპექტებში პრეტენდენტისგან მაქსიმალურ გამოვლენებს უნდა მოელოდოს. ამასთან, აუცილებელია მისი პროფესიონალური და პირადული თვისებების ერთობლიობის შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი გაეცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

- 1) როგორ შეესაბამება პრეტენდენტის პირადული მახასიათებლები სამსახურეობრივი ინსტრუქციის მოთხოვნებს;
- 2) მოცემული პროფესიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს რა ხარისხით პასუხობს იგი;
- 3) რა ზომით მოახდინა მან ძველ თანამდებობაზე თავისი შესაძლებლობების რეალიზება.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია შემდეგი მეთოდებით: სოციალურ-ფსიქოლოგიური ტესტირების მეთოდით; პროფესიონალიზმის

⁸ ცაავა, გ. გავაშელი, შ. ცაავა, დ. ბურდიაშვილი, რ. მოსიაშვილი, ვ. რისკოლოგია. თბილისი. 2018.

მეთოდით; ექსპერტული შეფასების მეთოდით და თანამშრომელთა ატესტაციის მეთოდით.

საბანკო პერსონალის მოტივაცია მიმართულია თანამშრომლების წახალისებაზე, რათა მაღალ დონეზე შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები და გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი. საკრედიტო განყოფილების შემადგენლობაში მუშაობენ როგორც მცირე სტაჟის მქონე, ასევე საბანკო სფეროში 10 და მეტი წლის განმავლობაში მომუშავე თანამშრომლებიც. შესაბამისად სხვადასხვა კატეგორიის დასაქმებულების მოტივაციაც განსხვავებული უნდა იყოს, რაც შეიძლება გამოიხატოს შრომის ანაზღაურების მომატებით.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის ოპტიმიზაცია - ეკონომიკური გარემოს არასტაბილურობის, საბანკო დანესებულებებისადმი ბაზრის მხრიდან მზარდი მოთხოვნების, კონკურენციის ზრდის, ტექნოლოგიების გართულების პირობებში, ბიზნეს - პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით, აუცილებელი ხდება ბანკის სხვადასხვა მიმართულებების გაუმჯობესება.

საკრედიტო ოპერაციების ორგანიზაციის პროცესში კომერციული ბანკების ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ მსესხებლების მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულებების შეუსრულებლობისგან გამონვეული რისკი შეამცირონ ან თავიდან აიცილონ. კომერციულ ბანკებში ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის შემდეგი მეთოდები არსებობს: პოლიტიკის გაუმჯობესება; პოლიტიკის გარდაქმნა და რეინჟინერინგი.

კრედიტების გაცემასთან დაკავშირებული მუშაობის რეგლამენტი სპეციფიკურ სტანდარტს წარმოადგენს და იგი კომერციული ბანკის საკრედიტო პროცესს მუდამ თან ახლავს და მკაცრი თანმიმდევრობით უნდა შესრულდეს. ამრიგად, აღნიშნული საბუთების ხარისხიანად დამუშავება და

მუდმივი შიდა კონტროლი განსაზღვრავს კომერციული ბანკის საკრედიტო პროცესის ეფექტიანობას.

საკრედიტო ბიუროების შექმნა და ფუნქციონირება - მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის კრედიტორები (ბანკები, ფინანსური კომპანიები) საკრედიტო ბიუროების მეშვეობით, მსესხებლების გადახდისუნარიანობის შესახებ ინფორმაციების შეგროვების საფუძველზე, თანხმდებიან მონაცემების ერთმანეთში გაცვლაზე. ამის გამო, აღნიშნულ ბიუროებს საკრედიტო მომსახურების ბაზარზე განსაკუთრებული საინფორმაციო სეგმენტი უკავიათ. საკრედიტო ბიუროს საქმიანობა ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პრინციპებზეა ჩამოყალიბებული და იგი სამი ძირითადი მიზნის მიღწევას ემსახურება.

- 1) საკრედიტო რისკის შესახებ გაფრთხილება, პოტენციური მსესხებლების შესახებ ბანკების გათვითცნობიერების დონის ამაღლება და სესხის დაბრუნებადობის შესახებ უფრო ზუსტი პროგნოზირების შესაძლებლობა;
- 2) საკრედიტო ბაზრის საინფორმაციო სეგმენტის დაკავება და საკრედიტო ბიუროების სპეციალიზაციის ხარჯზე ბანკების საოპერაციო ხარჯების შემცირება პოტენციური მსესხებლის შესახებ ინფორმაციის მოძიების თაობაზე.
- 3) მსესხებლებისათვის თავისებური დისციპლინური მექანიზმის ფორმირება, რომელიც ამ უკანასკნელის კრედიტის დაბრუნებისადმი და არაკეთილსინდისიერი ქცევისგან გამონვეული რისკების შემცირების სტიმულს იძლევა.

საკრედიტო ბიურო შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობს: ურთიერთქმედების (იგულისხმება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა) პრინციპი; საიმედოობის (ინფორმაციის უტყუარობა) პრინციპი; ნეიტრალიტეტის (კომერციული საიდუმლოების დაცვის გარანტია) პრინციპი და მაქსიმალური უსაფრთხოების (დაცულობის) პრინციპი. საკრედიტო ბიუროების შექმნისა და

ფუნქციონირების არსებული სიძნელეების მიუხედავად, ფინანსური საქმიანობის აღნიშნული სახეობა განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე მეტად პერსპექტიულია. მრავალი ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ საკრედიტო ბიურო საბანკო საკრედიტო რისკის მართვის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მაგალითად, ითვლება, რომ საკრედიტო ბიუროების ცნობები საეჭვო დაბრუნებადობის კრედიტების რაოდენობას 20%-ით ამცირებს.⁹


2.3. პანდემიით გამოწვეული ფინანსური რისკების მართვა ქართულ საბანკო ბიზნესში.

მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც 2020 წელი საბანკო სექტორისთვის დიდ გამოწვევად იქცა. კომერციულ ბანკებს მოუხდათ მცირე დროში არაერთი რთული, მაგრამ საჭირო გადანყვეტილების მიღება, რათა ახალ რეალობასთან მოეხდინათ ადაპტაცია.

საბანკო სფეროსთვის 2020 წელი მეტად რთული აღმოჩნდა. სხვა ბიზნესებისგან განსხვავებით მათ არ მოუხდათ საქმიანობის შეჩერება, თუმცა ეს მხოლოდ სამუშაო ნაწილში. სესხების სამ ეტაპიანი გადავადების პროგრამის ეფექტით და ეკონომიკის კრიზისით საბანკო სფეროს მომგებიანობა ნულთან ახლოს აღმოჩნდა. როგორც დიაგრამიდან ვხედავთ 2019-20 წლებში სასესხო დავალიანება საკმაოდ მზარდია, მითუმეტეს პანდემიის დაწყების შემდეგ, ერ ერთი შეხედვით მიანიშნებს იმაზე, რომ პანდემიის პირობებში გაიზარდა მოთხოვნა სესხებზე, მაგრამ ეს ასე არაა ვალდებულებების ზრდა გამოწვეულია სასესხო შენატანების გადავადებით, რაც იმას ნიშნავს რომ პანდემიამდე გაცემული არსებული სესხების ძირითადი თანხები არ შემცირებულ, პირიქით ზოგიერთმა ბანკმა გააკეთა ასევე დარიცხული პროცენტის კაპიტალიზაცია ანუ პროცენტის დამატება ძირ თანხაზე, რაც მომხმარებლისთვის


⁹ ცაავა, გ. აბრამია, თ. ცაავა, დ. რისკოლოგია. თბილისი. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. 2007.

წარმოადგენს უფრო გაძვირებულ სესხს, რადგან ხდება პროცენტზე პროცენტის დარიცხვა. ამის ფონზე კი იზრდება თითოეული მსესხებლის ვალდებულება. ეს სურათი თვალსაყინოა 2020 წლის აპრილის თვის მაჩვენებლით როცა სესხების საერთო დავალიანებამ 35 მილიარდ 387 მილიონ 204 ათასი შეადგინა, რაც 2019 წლის აპრილის თვის მონაცემს 8 მილიარდ 385 მილიონ 964 ათასი ლარით აღემატება. აღნიშნული დიაგრამიდან ასევე ჩანს, რომ 2020 წლის დეკემბრის თვის სასესხო დავალიანება წინა წლის დეკემბრის თვის მონაცემს 6 მილიარდ 357 მილიონ 853 ათასი ლარით აღემატება.



2020 წლის ნოემბერში საქართველოში მოქმედი 15 კომერციული ბანკის ჯამურმა მოგებამ 84.5 მილიონი ლარი შეადგინა. ამასთან, სექტორმა 11 თვის გამწვანებაში ჯამურად 1.4 მილიონი ლარი იზარალა. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ნოემბერში ფინანსური ინსტიტუტების საპროცენტო შემოსავლები გაუმჯობესდა და 355.1 მილიონ ლარს მიაღწია, რაც წლიურად 9.9%-ით არის მომატებული. 11 თვის ჭრილში ზარალი განაპირობა საბანკო სექტორის მიერ მარტში

განხორციელებულმა ფინანსურმა ოპერაციამ, რადგან 2020 წლის მარტში ბანკებმა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ბუფერში 1.2 მილიარდი ლარი დაარეზერვეს. აღნიშნული ფაქტი, ქვეყანაში მოსალოდნელი კრიზისის წინ, საკრედიტო დანაკარგებისთვის რესურსების წინასწარ ჩამოწერას წარმოადგენდა. საბანკო სისტემა პანდემიიდან გამომწვეულ კრიზისს მომზადებული შეხვდა, მაგრამ ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი იმაზე, რამდენად გაუარესდება მომდევნო თვეების განმავლობაში საკრედიტო პორტფელი.



როგორც ღიაგრაშიდან ჩანს, პანდემიის უარყოფითი გავლენა ყველაზე შესამჩნევია 2020 წლის მარტში, როდესაც დაიწყო საყოველთაო შეზღუდვები სახელმწიფოს მხრიდან პანდემიის შესაჩერებლად და ბიზნესის სექტორი მოუმზადებელი შეხვდა გამომწვევებს. მარტის თვეში კომერციული ბანკების ზარალმა 943 მილიონ 130 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა აპრილის თვიდან

სესხების გადავადების ხარჯზე მოახდინეს მობილიზება და გავიდნენ წმინდა მოგების დადებით ნიშნულებზე, მაგრამ 2020 წლის ჭრილში ჯამურმა წმინდა მოგებამ 99 მილიონ 261 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის წმინდა მოგებასთან 854 მილიონ 392 ათასი ლარით ნაკლებია.

გთავაზობთ ერთ-ერთი წამყვანი კომერციული ბანკის „თიბისის“ მაგალითს პანდემიის დროს გადადგმულ ნაბიჯებზე. მათ მოუწიათ ბიზნეს მოდელის სწრაფად შეცვლა, რადგან მორგებოდნენ პანდემიის წესებს. კრიზისის დროს ბანკმა მომხმარებლებს შესთავაზა არაერთი სიახლე და გაუმჯობესებული ციფრული სერვისები. მნიშვნელოვანია, რომ თიბისიში მოსახურების 95% ციფრულია, ანუ ფიზიკურად სულ უფრო ნაკლებ მომხმარებელს უწევს ფილიალში მისვლა საბანკო ოპერაციების შესასრულებლად. გაციფრულების ტენდენცია აქტუალური მანამდეც იყო, მაგრამ პროცესი მეტად დააჩქარა პანდემიამ. „თიბისი ბანკი“ ვარაუდობს, რომ 2021 წელს საბანკო სექტორის სასესხო აქტიურობა დაახლოებით 10%-ის ფარგლებში იქნება. ჯამური მაჩვენებლით, ფიზიკური პირების ბაზარზე ზრდას პროგნოზირებენ, თუმცა ძირითადი ზრდა 2021 წლის მეორე ნახევარში მოხდება¹⁰.

ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი პერიოდულად აქვეყნებს ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს. ერთ-ერთ ანგარიშში (30.09.2020) შეფასებულია ფინანსურ სისტემაში არსებული მონწყვლადობა, რისკები და ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე, ფინანსური სტაბილურობის ბოლო წლებში გატარებული პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ფინანსური სისტემა COVID-19 პანდემიით გამონვეულ შოკს მომზადებული შეხვდა და მდგრადობას ინარჩუნებს. COVID-19-ის პანდემიის გავლენით მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური აქტივობა და გაიზარდა ფინანსური სტაბილურობის რისკები

¹⁰ Forbes Georgia. მოლოდინები, რომლითაც თიბისი 2021 წელს ხვდება.
<<https://forbes.ge/molodinebi-romlithats-thibisi-2021-tsels-khvdeba/>>

მთლიანად მსოფლიოში. თუმცა წინა პერიოდებში ეროვნული ბანკის მიერ დამატებითი კაპიტალის დაწესებულმა მოთხოვნებმა და კომერციული ბანკების მიერ მიღებულმა მოგებამ, ბანკებს ნაწილობრივ მისცა საშუალება სტრესულ სიტუაციასთან გასამკლავებლად კაპიტალის საკმარისი ბუფერები დაეგროვებინათ. დამატებით, ფინანსური შეამავლობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის, პანდემიის პირველივე თვეებში სებ-მა ლიკვიდობის ახალი ინსტრუმენტი აამოქმედა. მდგრადია ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორიც, რომელსაც, ბანკების მსგავსად პრუდენციული მოთხოვნები დაუწესდა.

პანდემიით გამოწვეულმა შოკმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკური აქტივობა, რამაც სამუშაო ადგილების შემცირების და შემოსავლების კლების ეფექტი გამოიწვია. აღნიშნულმა მდგომარეობამ კი, შინამეურნეობებსა და კომპანიებს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები შეუქმნა. ამ კუთხით, კრიტიკული იყო კრედიტორების მიერ შეთავაზებული სესხების გადავადების პროგრამა, რომლებმაც დროებით გადახდისუნარო მსესხებლებს ფინანსური მდგომარეობა შეუმსუბუქა. რეალური ეკონომიკის დაკრედიტების შენარჩუნების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საზედამხედველო გეგმა შეიმუშავა, რომლის ფარგლებში ბანკებს კაპიტალის და ლიკვიდობის არსებული ბუფერების გამოყენების შესაძლებლობა მიეცა.

კაპიტალის ბუფერების გამოყენებით, ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს პოტენციური ზარალის განეიტრალებისა და რეალური სექტორის დაკრედიტების გაგრძელების შესაძლებლობა მისცა. ფინანსურ სექტორზე COVID-19-იდან გამოწვეული უარყოფითი შოკების გავლენის შესამცირებლად და საკრედიტო აქტივობის მხარდასაჭერად, ეროვნულმა ბანკმა დროებითი საზედამხედველო გეგმა შეიმუშავა, რომელიც საბანკო სექტორის კაპიტალის ბუფერების გამოყენებას ეხება. შედეგად, კომერციულ ბანკებს შეუმსუბუქდათ კაპიტალის მოთხოვნები. აღნიშნულით საბანკო სექტორს 1.6 მილიარდი ლარის ოდენობის კაპიტალი გამოუთავისუფლდა,

რაც შეიძლება მიმართული იყოს როგორც პოტენციური ზარალის გასაწესებლად, ისე ეკონომიკის დასაკრედიტებლად.

COVID-19-ის პირობებში მოსალოდნელია უმოქმედო სესხების რაოდენობის ზრდა, თუმცა სესხების მომსახურებაზე ამოქმედებული საშეღავათო პერიოდის გამო მოცემულ პერიოდში პანდემიის შედეგი სესხების ხარისხზე ჯერ სრულად არ ასახულა. მოსალოდნელია, რომ კრიზისის შედეგად, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, მთავრობის საკრედიტო საგარანტიო სქემის გათვალისწინებით, უმოქმედო სესხების წილი დაახლოებით 10 პროცენტის ფარგლებში იმერყევებს.

ეროვნული ბანკი მიმდინარე წელს კონტრციკლური ბუფერის მოთხოვნას არ გაზრდის. ხოლო საბაზო სცენარის რეალიზების შემთხვევაში, მიმდინარე წელს გამოთავისუფლებული კაპიტალის ბუფერების აღდგენის გეგმა 2021 წელს გამოცხადდება და საბანკო სექტორს საკმარისი დრო მიეცემა ბუფერების თავიდან დასაგროვებლად, რათა აღნიშნული ბუფერები ეტაპობრივად და განსაკუთრებული სირთულეების გარეშე შეივსოს.

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან, როდესაც პანდემიის გავლენის მასშტაბების შეფასება უკეთ არის შესაძლებელი, შოკის გავლენა ფინანსურ სექტორზე დიდწილად უკვე ასახულია. თუმცა, კვლავ ნარჩუნდება მაღალი გაურკვევლობა, პანდემიის დასრულების ვადებთან დაკავშირებით. საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მუდმივ მონიტორინგს, საშინაო და საგარეო რისკების შეფასებას და საჭიროებისამებრ გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს შესაძლო რისკების მინიმალიზებისთვის.

თავი III

საბანკო რისკის მინიმალიზაცია და თავიდან აცილების გზები

3.1. ეროვნული ბანკის ჩართულობა კომერციული ბანკების რისკის მართვაში (კანონი კომერციული ბანკების რისკების შესახებ).

საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობაში აქტიურად ერევა ეროვნული ბანკი, იგი უწესებს შეზღუდვებს, კრიტერიუმებს, ჩარჩოებს, კანონებს, რომლის ფარგლებშიც უნდა იფუნქციონიროს ბანკმა, საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. მათ შორის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ პერიოდულად ხდება ბრძანების გამოცემა რისკების მართვის თაობაზე. ერთ-ერთი ასეთი კანონია „კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე“ (ბრძანება №32/04 2014 წლის 27 მარტი) კომერციული ბანკებისთვის რისკების შეფასების საერთო პროგრამა მოქმედებს, მისი მიზანია რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლი, რომელიც აფასებს კომერციული ბანკების რისკის დონეს და განსაზღვრავს შესაბამის საზედამხედველო ზომებს.

რისკის შეფასება (მუხლი 3):

1. ცალკეული კომერციული ბანკის კონკრეტული რისკის კატეგორიის მიმართულებით რისკების შეფასება ხორციელდება მოცემული რისკის და კომერციული ბანკის ზედამხედველების მიერ;
2. რისკების ანალიზისა და შეფასების ფაზაში სხვადასხვა კომერციული ბანკის კონკრეტული რისკის კატეგორიის შეფასების თანმიმდევრობისათვის რისკის ზედამხედველები მხედველობაში იღებენ სხვა კომერციული ბანკების რისკის პროფილს;
3. რისკების შეფასება ძირითადად ეყრდნობა „CAMEL“-ის შეფასების ჩარჩოს, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის მნიშვნელოვანი პრინციპების“ დოკუმენტსა და სხვა მოწინავე საერთაშორისო საზედამხედველო პრაქტიკას.
4. რისკების შეფასება წარმოადგენს უწყვეტ საზედამხედველო ციკლს.

საზედამხედველო ზომები (მუხლი 4):

1. იდენტიფიცირებული რისკების შეფასების შედეგად რისკის და კომერციული ბანკის ზედამხედველები, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავენ საზედამხედველო ზომების შესახებ წინადადებას, რომლის მიზანია სხვადასხვა რისკის კატეგორიის დონეების შემცირება ან კომერციული ბანკებისათვის მაღალი რისკის მიტიგაციისათვის საჭირო რესურსების ოდენობის გაზრდის მოთხოვნა.
2. საზედამხედველო ზომების განსაზღვრა შესაძლებელია განხორციელდეს უწყვეტი საზედამხედველო ციკლის ნებისმიერ ფაზაში, იქნება ეს ბანკის საერთო რისკის შეფასება, თუ ცალკეული რისკის კატეგორიის შეფასება, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მიღების შედეგად, რასაც

ეროვნული ბანკი ჩათვლის დროული რეაგირების საგნად. რისკების რაოდენობრივი შეფასება და შესაბამისი საზედამხედველო ყურადღების დონე (მუხლი 6):

1. რისკის დონე თითოეული რისკის კატეგორიისათვის და საერთო რისკის დონე განისაზღვრება [1; 5] ინტერვალზე შეფასების ქულების მინიჭებით. შეფასების ბიჯის საორიენტაციო სიდიდეა 0,5;

2. საშუალო რისკის კატეგორიას მიეკუთვნება 3 ქულა, შედარებით დაბალი რისკის კატეგორიას – ქულები, რომლებიც ნაკლებია 3-ზე, ხოლო შედარებით მაღალი რისკის კატეგორიას – ქულები, რომლებიც მეტია 3-ზე;

3. თითოეული კომერციული ბანკისათვის რისკის კატეგორიებს ენიჭებათ წონები. აღნიშნული წონების ჯამი უნდა უდრიდეს 100%-ს. წონების განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტისა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ სექტორის მასშტაბით თითოეული რისკის კატეგორიისათვის განსაზღვრული საშუალო წონები.

4. ინფორმაცია მინიჭებული ქულების შესახებ კონფიდენციალურია და წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა საზედამხედველო ორიენტირებს.

5. საზედამხედველო ყურადღების ინტენსივობა განისაზღვრება კომერციული ბანკის რისკის კატეგორიისა და მისი სისტემური მნიშვნელობის გათვალისწინებით.

კომერციული ბანკებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რისკია საპროცენტო რისკი, რომელიც რეგულირდება 2020 წლის 12 მარტის ბრძანებით(ბრძანება №42/04), „საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის

1 სექტემბრიდან. კანონის თანახმად, ბანკებს უნდა ჰქონდეთ საპროცენტო რისკის მართვის სათანადო ჩარჩო, რომელიც მოიცავს სისტემის ეფექტიანობის დამოუკიდებელ მიმოხილვასა და შეფასებებს. საპროცენტო რისკის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს, როგორც ეკონომიკური ღირებულების, ასევე შემოსავლებზე დაფუძნებული მაჩვენებლების გაზომვის შედეგებს, რომლებიც წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთების შოკებისა და სტრესის სცენარების დაშვების შედეგად. საპროცენტო რისკის გაზომვისას, ქცევითი და მოდელის შესახებ გაკეთებული დაშვებები უნდა იყოს ნათლად გასაგები, კონცეპტუალურად ჯანსაღი და დოკუმენტირებული. ასეთი დაშვებები უნდა იყოს საფუძვლიანად ტესტირებული და ბანკის ბიზნეს სტრატეგიებთან შესაბამისი. ბანკმა რეგულარულად უნდა შეაფასოს საპროცენტო რისკი და ეროვნული ბანკს მისი მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს შესაბამისი ანალიზი. რეგულარული საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისთვის, საპროცენტო რისკის გამოთვლა ბანკების მიერ უნდა მოხდეს კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების ცვლილების და წმინდა საპროცენტო შემოსავლის მეთოდის გამოყენებით. ბანკების ეკონომიკური ღირებულების ცვლილება სხვადასხვა შოკისა და სტრესის სცენარების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს ბანკის პირველადი კაპიტალის 15%-ს. ბანკების მიერ საპროცენტო რისკის ანგარიშგება ეროვნულ ბანკში უნდა მოხდეს ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

ეროვნული ბანკი განსაზღვრავს კაპიტალის მინიმალურ ოდენობას კომერციული ბანკისთვის და აგრეთვე მისი გაანგარიშების წესებს. კანონის მიხედვით, რომელიც ეხება მოთხოვნებს კომერციული ბანკის კაპიტალისა და რეზერვების მიმართ (24.09.2009. N1677), ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვების, განალდებული საწესდებო კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას და მათი შექმნის წესებს. ბაზელ 3-ის რეკომენდაციების მიხედვით კი, ბოლო წლების პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, კაპიტალის

მიმართ მოთხოვნები უნდა იყოს კიდევ უფრო მაღალი, რადგან ძლიერი კაპიტალის ქონა გადამწყვეტია საბანკო სექტორის სტაბილურობისა და სისტემური რისკის თავიდან ასაცილებლად.

კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის შესაბამისად კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა განისაზღვრება საზედამხედველო კაპიტალით. იგი შედგება პირველადი კაპიტალის, ძირითადი პირველადი კაპიტალის, დამატებითი პირველადი კაპიტალის და სალიკვიდაციო ანუ მეორადი კაპიტალის ჯამისგან. პირველადი კაპიტალი ისეთი ინსტრუმენტებისაგან შედგება, რომელთაც ზარალის უპირობოდ მათი წარმოქმნისთანავე დაფარვა შეუძლია ისე, რომ კომერციულმა ბანკმა შეძლოს თავისი საქმიანობის შეფერხების გარეშე გაგრძელება. მეორადი კაპიტალი წარმოადგენს სალიკვიდაციო კაპიტალს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბანკის ზარალის დაფარვა დეპოზიტორებამდე და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებამდე კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას ან მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების დროს.

საბანკო რისკებიდან, კიდევ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკი, რომელიც იმართება ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული დადგენილებებით. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოექმნას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობის დროს, როგორცაა კრედიტების გაცემა, ვაჭრობის დაფინანსება, საინვესტიციო და სახაზინო საქმიანობა და სხვა.

ეროვნული ბანკი საკრედიტო რისკის პასუხისმგებლობას აკისრებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელმაც საკრედიტო რისკის სტრატეგიის პოლიტიკის დამტკიცება წელიწადში მინიმუმ ერთხელ უნდა განიხილოს. ეროვნული ბანკი ითხოვს, რომ ეკონომიკური ანალიზის გათვალისწინებით საკრედიტო პორტფელი არ დადგეს რისკის ქვეშ და გრძელვადიან პერიოდში ბანკმა შეძლოს მის მიმართ წაყენებული ფინანსური მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება. ასევე ეროვნული ბანკის მოთხოვნით, ბანკი

ვალდებულია, ყოველი ახალი პროდუქტისა და მომსახურების შექმნისას გათვალისწინოს მოსალოდნელი საკრედიტო რისკი და გაუწიოს კონტროლი. საკრედიტო რისკის განსაზღვრა და შეფასება საშუალებას აძლევს ბანკს დეტალურ ინფორმაციას მოუყაროს თავი, გაანალიზოს მოსალოდნელი შედეგები და თავი დაიზღვიოს შესაძლო ზარალისგან.¹¹

ეროვნული ბანკის კიდევ ერთი მოთხოვნაა, ბანკს ჰქონდეს წერილობით შემუშავებული ერთობლივი გეგმა და ბიზნეს-გეგმა, რომელიც არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები. ეროვნული ბანკის რეგულირებით, ბიზნეს გეგმა უნდა შეიცავდეს ალტერნატიულ გეგმებსაც, რადგან მზად იყოს ბანკი იმ შესაძლო ცვლილებებისთვის, რომელიც დღევანდელ ბიზნეს გარემოს ახასიათებს და ფინანსური კრიზისების დადგომის შემთხვევაში ბანკს სავალალო შედეგები ააცილოს თავიდან.

ამრიგად, ეროვნული ბანკის მიერ წაყენებული მოთხოვნები(ეფუძნება ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებს), რომლებიც წარმოადგენს საბანკო სექტორის რისკების რეგულირების ძირითად მექანიზმებს და გავლენას ახდენს საბანკო სისტემის ძირითად საქმიანობაზე მდგომარეობს შემდეგში:

1. ბანკების დაარსებისთვის აუცილებელი კაპიტალის მინიმალური დონის დაწესება;
2. მოთხოვნები კაპიტალის სტრუქტურისადმი და საკმარისობისადმი;
3. შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სამსახურების ორგანიზაციისა და საქმიანობისადმი მოთხოვნები;
4. ბანკის საერთო რისკებისა და ფინანსური მდგომარეობის ინფორმაციის საჯაროობა;
5. რისკების რაოდენობრივი შეფასების მეთოდებისადმი ნორმატიული მოთხოვნები;

¹¹ ლურნკაია, ვ. სადისერტაციო ნაშრომი საბანკო რეგულირების გავლენა საბანკო კრიზისსა და კომერციული ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებზე. თბილისი 2018. საქართველოს უნივერსიტეტი

6. ბანკის სარეზერვო ფონდის მიმართ მოთხოვნები, ასევე ბანკის მართვასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

7. სანქციები და ჯარიმები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წაყენებული მოთხოვნების, წესებისა და ნორმატიული აქტების შეუსრულებლობისთვის;

3.2. რეზერვების შექმნა საბანკო რისკის გადაფარვის მიზნით.

ბანკი, საქმიანობის პროცესში წარმოშობილი რისკების მინიმალიზაციის მიზნით, ვალდებულია შექმნას რეზერვები, რომლის ფორმირებისა და გამოყენების წესი ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ დგინდება.

საბანკო სექტორი, საბანკო რისკების გადაფარვის მიზნით, რამდენიმე სახეობის რეზერვებს ქმნის, ძირითადად საკრედიტო რისკების რეზერვებს, ასევე ლიკვიდურობისა და გადახდისუნარობის რისკების რეზერვებს. აღნიშნულ რეზერვებს მიეკუთვნება:

- ცენტრალურ ბანკში განსათავსებელი სავალდებულო რეზერვების ფონდი, რომლის მეშვეობით ბანკის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარობის რისკების მინიმალიზება ხორციელდება;
- რეზერვები (ფონდები) ფინანსური დანაკარგების კომპენსაციისათვის, რომლებიც ბანკის საქმიანობის პროცესში წარმოიშობა და მათი ფორმირებისა და გამოყენების წესი ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატიული აქტების შესაბამისად განისაზღვრება;
- რეზერვები უიმედო აქტივების შესაძლო ზარალის გადასაფარად, ანუ საკრედიტო რისკისგან გამონვეული აქტივების დანაკარგების ასანაზღურებელი ფონდებია.

ისტორიულად, სავალდებულო რეზერვების ფონდის შექმნა ბანკისთვის იმ აუცილებლობით იყო გამონვეული, რო მას, ანაბრებისა და დეპოზიტების უწყვეტად დაბრუნებისათვის და კლიენტების დავალებით ანგარიშსწორების

განსახორციელებლად, მუდმივად ჰქონოდა საჭირო ფულადი სახსრები. რეზერვები, რომლებიც ცენტრალურ ბანკში ინახება, კომერციული ბანკის ერთგვარ საგარანტიო ფონდის როლსაც ასრულებს.

ფულადი სახსრების ნაწილის სავალდებულო რეზერვების პრაქტიკა პირველად 1913 წელს აშშ-ში ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნისას დაინერგა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სარეზერვო მოთხოვნების ცვალებადობის პრინციპი მრავალი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკებმაც დააწესეს.

სავალდებულო რეზერვები შეიძლება ორი ხერხით განისაზღვროს: პროცენტულად საბანკო პასივებიდან ან საბანკო აქტივებიდან. უმეტეს ქვეყნებში სავალდებულო რეზერვების სიდიდე პასივების მოცულობიდან პროცენტული თანაფარდობით განისაზღვრება (გარდა საფრანგეთისა, სადაც გაანგარიშება ხორციელდება საბანკო აქტივების მიხედვით და ეს მეთოდი ძალიან იშვიათად გამოიყენება).

მსოფლიოში რეზერვირების ნორმის განსხვავებული სიდიდეები შეინიშნება. მაგალითად, გერმანიაში 4,15-12,1%, საფრანგეთში 3-5,5%, იტალიაში 25%, დიდ ბრიტანეთში 0,45%, ესტონეთში 13%, ესპანეთში 17%. საქართველოში: 1992 წლიდან 20%; 1996 წლიდან 18%; 1997 წლიდან 12 %; 2000 წლიდან 14% და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების გადაფარვის რეზერვების, უშუალოდ ბანკებში შექმნისა და მისი გამოყენების აუცილებელი პირობაც. ამ შემთხვევაში სესხები ხუთ ძირითად კატეგორიად იყოფა: სტანდარტული, საყურადღებო, სუბსტანდარტული, საეჭვო და უიმედო, რომელთა შესაბამისად (ბანკის შემოსავლიდან) სპეციალურ ფონდებში გაცემული სესხების მოცულობიდან თანდათანობით 2%, 30%, 50%, 70% და 100 % რეზერვდება და უარეს შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილების საფუძველზე ჩამოიწერება აღნიშნული ფონდიდან.

3.3. საბანკო რისკის სადაზღვევო ორგანიზაციების მეშვეობით დაზღვევა.

საბანკო საკრედიტო რისკის დაზღვევა - სამენარმეო რისკების დაზღვევის სახეობას წარმოადგენს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ქონებრივი დაზღვევის ქვედარგია, რომელიც კომპლექსში პირად დაზღვევასა და პასუხისმგებლობის დაზღვევასთან ერთად, მთელ მსოფლიოში განხორციელებადი სადაზღვევო ბიზნესის მომსახურების სფეროს აყალიბებს.

ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ზარალის რისკს სამენარმეო საქმიანობიდან, რომელიც მენარმის კონტრაგენტების მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ან ობიექტური მიზეზების საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეიცვალა აღნიშნული საქმიანობის პირობები.

სადაზღვევო შემთხვევა საბანკო საკრედიტო რისკის დაზღვევის ხელშეკრულებისადმი მიმართებაში, არის კრედიტის ამღების მიერ კრედიტის ძირითადი თანხის დაუბრუნებლობა და პროცენტის არ გადახდა.

სადაზღვევო თანხას წარმოადგენს ზარალის სიდიდე, რომლის დადგომისგან კრედიტისგამცემი ცდილობს რისკის რეალიზაციის შემთხვევაში თავი დაიზღვიოს.

სადაზღვევო ანაზღაურება არის სადაზღვევო ორგანიზაციის (დამზღვევი) ვალდებულებების მოცულობა, რომელიც დაზღვეულზე (ბანკზე) ექვემდებარება გადახდას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

უნდა ითქვას, რომ საბანკო რისკების დაზღვევა - დაზღვევის ყველაზე რისკიანი სფეროა, განსაკუთრებით კი თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში, რომელიც მსოფლიო და რეგიონალური ფინანსური კრიზისების მცირე დროითი ინტერვალების გამოვლენით ხასიათდება.

სწორედ ამიტომ, დამზღვევები საკმაოდ დიდი მოცულობის ფინანსურ აქტივებს უნდა ფლობდნენ, რომ მათ თავიანთი ვალდებულებები შეასრულონ. ამასთან ერთად, საბანკო რისკების დაზღვევა - დაზღვევის

მიმზიდველ სფეროსაც წარმოადგენს, სადაც იგი მაღალი შემოსავლიანობის უზრუნველყოფელიცაა.

თანამედროვე ეკონომიკაში საბანკო რისკების დაზღვევა წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- საფინანსო-საკრედიტო რისკების დაზღვევა;
- რისკების დაზღვევა, რომლებიც დაკრედიტებასთან ირიბადაა დაკავშირებული;
- რისკების დაზღვევა, რომლებიც ქონების დაკარგვასთანაა დაკავშირებული;
- რისკების დაზღვევა, რომლებიც ბანკის პერსონალთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება, ანაბრებისა და დეპოზიტების დაზღვევას, მენაბრეებს მათი ანაბრების დაბრუნების გარანტია ეძლევა ბანკის გაკოტრების ან მის მიერ საქმიანობის შეწყვეტის დროს. დაზღვევის აღნიშნულმა სახეობამ განვითარება ჯერ კიდევ აშშ-ში XX ს. 30-იან წლებში, მოგვიანებით კი სხვა ქვეყნებშიც მოიპოვა გავრცელება.

ანაბრებისა და დეპოზიტების დაზღვევა, ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი. სავალდებულო ფორმა გავრცელებულია კანადაში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში. ანაბრებისა და დეპოზიტების დაზღვევა ნებაყოფლობითია გერმანიაში, საფრანგეთში და იტალიაში.

საქართველოში 5000 ლარამდე ოდენობის დეპოზიტების დაზღვევის სისტემა 01.01.2018 წელს ამოქმედდა „ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო 2020 წლის 1 ივლისიდან აღნიშნული ზღვარი აინია და 15000 ლარი გახდა.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა წარმოადგენს, ფინანსური სტაბილურობის და უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და იცავს დეპოზიტორებს კუთვნილი თანხების დაკარგვისგან

(დადგენილი ზღვრის ფარგლებში) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომერციული ბანკის მიმართ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების პროცესის დაწყების დროს. სისტემის დანერგვის მთავარი მიზანია კომერციული ბანკების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებით დანაზოგების წახალისება, ფინანსური კრიზისების დროს შოკური ეფექტების შერბილება, სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა დამატებით ხარჯს არ წარმოქმნის მოქალაქეებისთვის. სადაზღვევო პრემიის გადახდა ეკისრებათ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს მათი მთლიანი შემოსავლებიდან. კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო შენატანის განაკვეთი 0.03%-ია ხოლო, უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტების 0.1%-იანი განაკვეთია დაწესებული.

ბანკების მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანები დეპოზიტების დაზღვევის ფონდში გროვდება. სწორედ ამ ფონდიდან ხორციელდება დეპოზიტორების ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

საქართველოში მოქმედი 15 კომერციული ბანკისთვის 2020 წლის დეკემბრისთვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის ჯამურმა ოდენობამ 2 501 480,46 ლარი შეადგინა, რომლის დათარვა ბანკებს 2021 წლის იანვარში მოუწიათ.


საქართველოში სისტემის შემოღება განაპირობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიამ და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ.¹²

3.4. სამაგისტრო ნაშრომის კვლევა

¹² საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო <http://diagency.ge/ka>


ნამშრომში განხილული თეორიული საკითხების შეჯამების მიზნით ჩატარდა კვლევა, სადაც ნაჩვენებია კომერციული ბანკების რეალური მდგომარეობა, პანდემიის გავლენა საბანკო სექტორზე და რისკების დაზღვევის აუცილებლობა. კვლევისთვის შეირჩა 96 სხვადასხვა კომერციულ ბანკში მომუშავე საკრედიტო ექსპერტი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ საკრედიტო პორტფელთან და უწევთ რისკების განსაზღვრა დაკრედიტების პროცესში. შედეგები ასეთია:

რამდენი წელია რაც საბანკო სექტორში ხართ დასაქმებული?



გამოკითხულთა დიდი ნაწილი 5 წელზე მეტია დასაქმებული საბანკო სექტორში.


რა გავლენა იქონია პანდემიამ საკრედიტო პროდუქტების მოთხოვნაზე?



გამოკითხულთა 55.8%-ის აზრით პანდემიამ გამოიწვია საკრედიტო პროდუქტების მოთხოვნის შემცირება. ეს მოვლენა ბუნებრივია, რადგან


მთელი წლის განმავლობაში ბიზნეს სექტორის უმეტეს ნაწილს მოუხდა საქმიანობის შეზღუდულად ფუნქციონირება ან საქმიანობის სრულად შეჩერება. შემცირდა სამომხმარებლო სესხებზე მოთხოვნებიც, რაც გამოიწვია გარკვეული კომპანიების მიერ თანამშრომლებისთვის ხელფასების შეჩერებამ.

გაიზარდა თუ არა დაგვიანებული სესხების მოცულობა 2020 წელს წინა წლებთან შედარებით?




რაც შეეხება დაგვიანებული სესხების მოცულობას, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი თვლის, რომ გაიზარდა მათი მოცულობა, 29.5% თვლის, რომ უმნიშვნელოდ გაიზარდა და 20%-ის აზრით არ შეცვლილა. ცხადია გაიზარდა დაგვიანებული პორტფელის მოცულობა, მაგრამ ჯერჯერობით არ გვაქვს სრული შედეგი გადავადებული სესხების ხარჯზე. აღნიშნული დამოკიდებულია, თუ რამდენად გაართმევს ბიზნეს სექტორი სირთულეებს თავს და რა ვადაში დაიძლევა ფინანსური კრიზისი.

შეიცვალა თუ არა სესხის გაცემის პროცედურა პანდემიის პერიოდში?



პანდემიის პერიოდში სესხის გაცემის პროცედურა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, მაგრამ ცვლილება შევიდა გარკვეული სახის ბიზნესის დაფინანსებაში. მაგალითად დროებით შეჩერდა სარესტორნე, სასტუმრო და ტურიზმის სფეროების დაფინანსება.


ჭარბვალუანობის პირობებში, არსებული ბიზნეს მსესხებლების დამატებითი სესხით დაფინანსება გამოიწვევს:



აღნიშნული საკითხი მეტად სადაოა და შესაბამისად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. გამოკითხულთა 52.1% თვლის, რომ ბიზნესს მისცემს ფინანსური კრიზისის დაძლევის საშუალებას. ერთ-ერთი გაუღერებული აზრის მიხედვით, გამოიწვევს ბანკის მიერ რისკის ზრდას, ასევე ბიზნეს მფლობელისთვის ტვირთს. გასათვალისწინებელია სესხის დაფინანსების მიზნობრიობა, გამონაკლისი მხოლოდ საბრუნავი საშუალებების


შეძენისათვის მიზნობრიობაა, ისიც იმ შემთხვევაში თუ დავრწმუნდებით რომ ბიზნესი ლიკვიდობის პირას არ არის.

მიესალმებით თუ არა, სადაზღვევო პროდუქტების აქტიურ გამოყენებას (მაგ. საკრედიტო შენატანის დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, მოსავლის დაზღვევა აგრო სესხებზე) დაკრედიტების სფეროში?




კვლევაში მონაწილე საკრედიტო ექსპერტების უმრავლესობის აზრით, უნდა იყოს სადაზღვევო პროდუქტები აქტიურად გამოყენებული დაკრედიტების სფეროში, რადგან დაიზღვეს ბანკის რისკი. ერთ-ერთი გამოკითხულის აზრით: დაზღვევა როგორც ბანკისთვის ასევე მომხმარებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. უნახავს უამრავი კმაყოფილი მსესხებელი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შემდეგ, თუმცა ტარიფებია შესამცირებელი.

რა წარმოადგენს თქვენთვის მთავარ რისკს დაკრედიტების პროცესში?



დაკრედიტების პროცესში არის რამოდენიმე ძირითადი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ სესხის რისკიანობას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანია სამივე კრიტერიუმი: საკრედიტო ისტორია, ბიზნესის გადამხდელუნარიანობა და სესხის მიზნობრიობა.

ემხრობით თუ არა ბანკის მხრიდან სტარტაპ სესხების დაფინანსებას?



ახალი ბიზნეს იდეების დაფინანსება ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ბანკმა ხელი უნდა შეუწყოს სტარტაპ ბიზნესის დაფინანსებას, თუმცა გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა მოსალოდნელი რისკი. მაგალითად, საწყის ეტაპზე მოხდეს დაბალი თანხით დაფინანსება.

ბანკში არსებული რისკების უკეთ გასაანალიზებლად ჩაიწერა ინტერვიუ საქართველოს ბანკის რეგიონალურ დირექტორთან თეიმურაზ კაციაშვილთან:

როგორ ხდება ფინანსური რისკების განსაზღვრა და არის თუ არა შესაბამისი სამსახური?

- ბანკში არის ფინანსური რისკების მართვის სამსახური, რომელიც აიდენტიფიცირებს და მუშაობს ფინანსური რისკების მინიმალიზაციისთვის.

რომელ საბანკო რისკებს აყენებთ ყველაზე მაღალ საფეხურზე?

- ბანკისთვის მთავარ რისკებს წარმოადგენს თანამშრომლის მხრიდან გამოვლენილი თაღლითობა, საკრედიტო რისკები, ფინანსური რისკები, საოპერაციო რისკები, პროგრამული ხარვეზებით და სისტემური გაუმართაობით გამონვეული რისკები.

რამოდენიმე პრობლემა, რაც ყველაზე მეტად აწუხებს საბანკო ბიზნესს?

- გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური კრიზისების გავლენა ბანკის მომხმარებლებზე; დასაკრედიტებელი ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლების იდენტიფიცირების პრობლემა და ბიზნესის ლეგალურობის დაბალი მაჩვენებელი; ადგილობრივ და საერთაშორისო გრძელვადიან იაფ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა; ადგილობრივ ფინანსურ ორგანიზაციებში ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა კვალიფიციური კადრების სიმცირე.

ხდება თუ არა ფინანსური რისკების ანალიზი და რა ბერკეტების მეშვეობით?

- ფინანსური რისკების ანალიზი მუდმივად ხდება ბანკის შესაბამისი სამსახურების მიერ. იდენტიფიცირება ხდება შესაბამისი პროგრამების მეშვეობით, რომლებიც აიდენტიფიცირებენ გარკვეულ რისკებს. ასევე ხდება ადამიანური რესურსებით რისკების ანალიზი მაგალითად აუდიტის სამსახური, რომელიც მუშაობს ამ მიმართულებით.

რა სტრატეგიული გეგმები აქვს ბანკს რისკების შესამცირებლად?

- რისკების შესამცირებლად ბანკი მუდმივად ახდენს პროგრამული სისტემების დახვეწას, პროდუქტების განვითარებას და ინოვაციების დანერგვას, პერსონალის მუდმივი გადამზადება და დატრენინგება,

არსებული პროცედურების დახვეწა და შესაძლო დანაკარგების დასაკომპენსირებლად ფინანსური რეზერვების შექმნა.

რა სტრატეგია აქვს ბანკს პანდემიით დაზარალებული ბიზნეს მსესხებლების მიმართულებით, რათა არ მოხდეს შესაძლო ვადაგადაცილებებული სესხების ზრდა?

- რისკის შესაძლო ზრდის თავიდან ასაცილებლად მოხდება არსებული საკრედიტო პორტფელის მუდმივი ანალიზი და რეაბილიტაცია სესხების რესტრუქტურის ან და ახალი გრძელვადიანი სესხების გაცემის კუთხით.

დასკვნა და რეკომენდაციები

ფინანსური რისკების მართვა საბანკო სექტორში დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რისკების მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე, თუმცა დღესდღეობით საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები წარმატებით ფუნქციონირებენ ბაზარზე. მათ შემუშავებული აქვთ შიდა პოლიტიკა, ფუნქციონირებს რისკების მართვის სამსახური, რომლებიც ყოველდღიურად ახორციელებენ რისკების იდენტიფიცირებას, მონიტორინგს და ეძებენ აღმოფხვრის გზებს. ასევე რისკების მინიმალიზება რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებებით, ნორმატიული აქტებით, რომლებიც უწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს, რათა თავიდან აიცილონ ფინანსური დანაკარგები. საბანკო რისკებიდან გამორჩეულად მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკი, რადგან არასწორად დაგეგმილი დაკრედიტება, საკრედიტო პორტფელის არაეფექტური მართვა, გადაუხდელი სესხების დიდი მოცულობა იწვევს ფინანსურ რისკებს და კომერციულ ბანკს შეიძლება ფუნქციონირების შეწყვეტა მოუწიოს.

აღსანიშნავია დღევანდელი პანდემიით გამოწვეული ფინანსური კრიზისი, როგორც მსოფლიოში ისე საქართველოში, რომელმაც მოიწვია ბიზნეს სექტორი, რაც თავისთავად უარყოფითად აისახა საბანკო სექტორის

საქმიანობაზე. კერძოდ, გაიზარდა ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა, თუმცა სრული სურათი ჯერ კიდევ არ გვაქვს, რადგან სესხების დიდი ნაწილი კვლავ გადავადებულია და არ დაწყებულია გადახდები.

ფინანსური რისკების სისტემურ მართვასა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისა და შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი სახის დასკვნები და რეკომენდაციები:

ჩატარებული კვლევის შედეგად გაშუქდა კომერციული ბანკების დღევანდელი რეალური მდგომარეობა, პანდემიის გავლენა საბანკო სექტორზე და რისკების დაზღვევის აუცილებლობა. აღმოჩნდა, რომ პანდემიამ საკრედიტო პროდუქტების მოთხოვნაზე უარყოფითი გავლენა იქონია და გამოიწვია საკრედიტო პროდუქტების მოთხოვნის შემცირება. რაც გამოწვეული იყო ბიზნეს სექტორის საქმიანობის შეფერხებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის კრიზისიდან გამოსვლას, რაზეც დამოკიდებულია საბანკო სექტორის გამართული ფუნქციონირება. ბანკებმა უნდა მოახდინონ კრიზისში მყოფი ბიზნეს კლიენტების დამატებით დაფინანსება საჭიროებიდან გამომდინარე, რადგან ხელი შეუწყონ ბიზნეს სექტორის ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას, რომ გახდნენ გადახდისუნარიანები, გამოვიდნენ კრიზისიდან და შეძლონ ნაკისრი საბანკო ვალდებულებების დაფარვა.

კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ გაიზარდა საკრედიტო პორტფელში დაგვიანებული სესხების მოცულობა. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ბანკმა უნდა განახორციელოს არსებული დაგვიანებული სესხების გრძელვადიანი რესტრუქტურირება და ახალი სესხებისთვის დაფარვის ვადის გაზრდა. ასევე ბიზნესის ხელშეწყობისთვის საპროცენტო განაკვეთის დაწვეა, რადგან ხელი შეეწყოს ფინანსური კრიზისის დაძლევას.

კვლევით დადგინდა, რომ საკრედიტო ექსპერტები აქტიურად განიხილავენ სადაზღვევო პროდუქტების გამოყენებას დაკრედიტების სფეროში, როგორც ბანკის რისკების დაზღვევის მნიშვნელოვან მეთოდს.

ახალი პროდუქტების დანერგვა და მათი სრულყოფა მნიშვნელოვნად გამოიწვევს ფინანსური რისკების შემცირებას. საბანკო რისკის სადაზღვევო ორგანიზაციების მეშვეობით დაზღვევა.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკები ვერ შეძლებენ მხოლოდ პრობლემის გადაჭრას და აუცილებელია ეროვნული ბანკის და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის ჩართულობა კომერციული ბანკების რისკის მართვაში, რეზერვების შექმნა საბანკო რისკის გადათარვის მიზნით.

საბანკო სექტორი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. სირთულეები საბანკო ბიზნესში შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის მიზეზი გახდეს. ეს სირთულეები აისახება საზოგადოების დიდ ნაწილზე. აქედან გამომდინარე, პანდემიის პირობებში ფინანსური რისკების მართვის არსებული მეთოდების ანალიზი, განვითარება და სრულყოფა აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაია, კ. საბანკო საქმე. თბილისი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2018. 378გვ.
2. ბერიძე, რ. საბანკო მენეჯმენტი. თბილისი. უნივერსალი. 2009. გვ.287-305.
3. ვერულავა, თ. რისკის მართვა. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013 წ. 11 გვ.
4. კოვზანაძე, ი. კონტრიძე, გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი. 2014. გვ. 486-490.
5. მაგრაქველიძე, დ. ფინანსური რისკები და მათი ხარისხის დანევის მათემატიკური მოდელეები. თბილისი. 2015. 17-20 გვ.
6. მამაცაშვილი, ე. ფინანსური რისკების სისტემური მართვა გლობალიზაციის პირობებში. თბილისი 2019. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. (ავტორეფერატი).

7. მურვანიძე, თ. სამაგისტრო ნაშრომი ბაზელის კომიტეტი და საბანკო რეგულაციები საქართველოში. თბილისი 2019წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8. ნარმანია, დ. თარესაშვილი, ნ. რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში“. თბილისი. უნივერსალი. 2012. გვ.206-209
9. ლურჯაია, ვ. სადისერტაციო ნაშრომი საბანკო რეგულირების გავლენა საბანკო კრიზისსა და კომერციული ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებზე. თბილისი 2018. საქართველოს უნივერსიტეტი
10. ცაავა, გ. გავაშელი, შ. ცაავა, დ. ბურდიაშვილი, რ. მოსიაშვილი, ვ. რისკოლოგია. თბილისი 2018. 650 გვ.
11. ცაავა, გ. აბრამია, თ. ცაავა, დ. რისკოლოგია. თბილისი. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. 2007. 567 გვ.
12. ურნალი ეკონომიკა. გლობალური ფინანსური კაპიტალი, როგორც ფინანსური რისკის წყარო. რეფერირებადი მარტი-აპრილის ნომერი 2019. გვ. 80-87.
13. ურნალი ეკონომიკა და ფინანსები. სისტემური (ერთდროულად მოქმედი) რისკების თანამედროვე გაგებისთვის. 2018. გვ. 139-151.
14. საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო <<http://diagency.ge/ka>>
15. Business Media Georgia. საბანკო სექტორის მოლოდინები. <<https://bm.ge/ka/tv-inner/sabanko-seqtoris-molodinebi---detalebit-aleqsandre-dzneladze/22405>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.02.2021]
16. ტყემელაშვილი, შ. ნოემბერში ბანკების მოგება 85 მლნ იყო, 11 თვეში კი სექტორმა 1.4 მლნ ლარით იზარალა. <<https://bm.ge/ka/article/noembershi-bankebis-mogeba-85-mln-iyo-11-tveshi-ki-seqtorma-14-mln-larit-izarala-/73631>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.02.2021]
17. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020 <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/2020/finstability_2020_geo.pdf>
18. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილება 25.11.2020. <https://www.nbg.gov.ge/uploads/finstability/pr/2020/pressrelease_fsc_final_geo_0212.pdf>
19. საქართველოს ეროვნული ბანკი. სტატისტიკური მონაცემები. <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>>
20. საქართველოს ეროვნული ბანკი. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეგიონალური ჯგუფს 2007-2009 წლებში რომან გოცირიძე უხელმძღვანელებს. <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=522>>. [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.02.2021]
21. საქართველოს ეროვნული ბანკი.

კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე. ბრძანება №32/04 2014 წლის 27 მარტი.

ქ. თბილისი

<<https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/sabanko2020/3204.pdf>>

22. Forbes Georgia. მოლოდინები, რომლითაც თბილისი 2021 წელს ხვდება.

<<https://forbes.ge/molodinebi-romlithats-thibisi-2021-tsels-khvdeba/>>

[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.02.2021]